ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 15 დეკემბერი, 2023 №247 (9283) ფასი: 80 თეთრი

რუმინეთში გემიდან ქართველი მეზღვაური გადავარდა და დინებამ გაიტაცა

გვ.4

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავ, საქართველო!

„ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი“

გვ.2

„ივანიშვილსაც გააზრებული აქვს, რომ ქვეყანას ახალ ეტაპზე სჭირდება გადასვლა“

გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „მოშე ყოველთვის ხმებს ვერ მოიტანს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სალომე ზურაბიშვილი არჩევნების დროს ძალიან საჭირო ფიგურა იქნება“

გედევან ფოფხაძე: „2024 წლის არჩევნები ჩაივლის ამომრჩევლის დაშანტაჟებაზე, დაშინებასა და მუქარაზე“

გვ.3

„მოსკოვს დასჭირდა, რომ აფხაზეთის მაღიარებელი ქვეყნების რაოდენობა გაიზარდოს“

გვ.3

თამაზ ხუბუა: „რუსეთს გეზი აქვს აღებული, თავის გამგებლობაში ენგურჰესის გადაცემაზე“

ოკუპირებულ აფხაზეთში ადგილობრივი ქართველების გააფხაზების პროცესი დაიწყო

გვ.4

ისტორიები

გვ.5

პირველად ვინ გაისროლა რუსთაველის გამზირზე?!

გვ.5

მედიცინა

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

3 ძალადობის ფაქტებზე შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორი დააკავეს

6 სოფიაში საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლის დემონტაჟი დაიწყო

4 ვინ თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან

6 რა შედეგით დამთავრდა ზელენსკის ამერიკაში ვიზიტი

1993230720223

გილოცავ, საქართველო!

„ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი“

– გილოცავთ! ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, – საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „ფეისბუქზე“ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მილოცვას აქვეყნებს.

მთავრობის მეთაური საზოგადოებას საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ულოცავს.

ირაკლი ღარიბაშვილი:

– მე მინდა, მივულოცო ეს დღე ჩვენი პარტიის დამფუძნებელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის მმართველობამაც მოიტანა დღევანდელი დღე და ეს გამარჯვება და ეს წარმატება. 2012 წლიდან მოყოლებული ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა მიაღწია მაქსიმუმს და დღევანდელი დღე არის ერთგვარი დაგვირგვინება ჩვენი წარმატებული მმართველობის.

დიდი სიამაყით და დიდი სიხარულით გილოცავთ ისტორიულ გადაწყვეტილებას, საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა, გილოცავთ ყველას.

მე მინდა, თითოეულ მოქალაქეს მოგილოცოთ დღევანდელი ისტორიული დღე, ეს ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის და ხალხის გამარჯვება. ეს ნამდვილად არის ღირსეულად მოპოვებული, დამსახურებული სტატუსი, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ჩვენს ხალხთან ერთად და ჩვენი ხალხისთვის მოიპოვა, ჩვენ ვიბრძოლეთ და ჩვენ გავიმარჯვეთ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა დღეს, 5 საათზე, თავისუფლების მოედანზე შეკრება და კანდიდატის სტატუსის მიღების აღნიშვნა დააანონსა.

– ქართველმა ხალხმა დამსახურებულად მიიღო კანდიდატის სტატუსი, – ასე აფასებს საქართველოს პრეზიდენტი ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას, მიანიჭოს საქართველოს კანდიდატის სტატუსი, ეხმაურება.

– დღეს აღვნიშნავთ მნიშვნელოვან ეტაპს საქართველოსთვის და ჩვენი ევროპული ოჯახისთვის! ქართველი ხალხის ურყევმა ნებამ თავისი სათქმელი თქვა და დამსახურებულად მიიღო კანდიდატის სტატუსი საქართველოს ევროპულ ოჯახთან.

– მეამაყება, რომ ჩვენი დაპირებები შევასრულეთ და ჩვენი პარტნიორები გავახარეთ, – ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი „ტვიტერის“ პირად გვერდზე წერს.

ლიდერებმა გადაწყვიტეს უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები გახსნან და საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭონ.

სტრატეგიული გადაწყვეტილება დღეს, რომელიც ჩვენი კავშირის ისტორიაში დარჩება.

– მეამაყება, რომ ჩვენი დაპირებები შევასრულეთ და ჩვენი პარტნიორები გავახარეთ, – წერს ურსულა ფონ დერ ლაიენი.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები სპეციალურ მიმართვას ავრცელებენ და საქართველოს ამ ისტორიულ თარიღს ულოცავენ.

– საქართველოს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი. ამ ისტორიულ დღეს ევროკავშირს და წევრ ქვეყნებს ერთი გზავნილი აქვთ საქართველოს მოსახლეობისთვის, – ამბობს პაველ ჰერჩინსკი.

ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კანდიდატის წევრი ქვეყნის სტატუსი მიანიჭოს, ხოლო უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყოს.

– ძალიან მიხარია, რომ ევროპულმა საბჭომ დაინახა, დააფასა და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოსთან დაკავშირებით, – ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა გააკეთა.

პაპუაშვილი ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას აფასებს და თვლის, რომ სამართლიანია.

– ჩვენ დღეს ვიმკით იმ შრომის შედეგებს, რომელსაც მათ შორის ბოლო წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურები ეწეოდნენ იმისთვის, რომ ევროპულ საბჭოს ჰქონოდა ერთადერთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, კერძოდ, ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭების შესახებ. ძალიან მიხარია, რომ ევროპულმა საბჭომ დაინახა, დააფასა და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოსთან დაკავშირებით.

ასევე, მინდა მივულოცო უკრაინას და მოლდოვას მოლაპარაკების გახსნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, საერთო ჯამში, მოლოდინი სრულად გაამართლა ევროპული საბჭოს სხდომამ, – აცხადებს პაპუაშვილი.

ხაზარაძე ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას ეხმაურება, რომელმაც საქართველოს კანდიდატის წევრი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა.

– მინდა მივულოცო სრულიად საქართველოს და ეს გამოცხადება დაემთხვა ემიგრაციასთან შეხვედრას და უნდა გენახათ ემოციები, რომელიც იყო იმ ოთახში, სადაც შეხვედრა მიმდინარეობდა.

მე ახლა ევროპარლამენტის შენობაში ვარ, მინდა მივულოცო ქართველ ხალხს, ეს არის თითოეული ჩვენი მოქალაქის დამსახურება, ეს არის იმ ბრძოლის, თავგანწირვის შედეგი, რომელმაც ეს ნაყოფი გამოიღო და მოგვცა ჩვენ ნამდვილად ახალი პერსპექტივა იმისთვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავდგათ ნაბიჯები.

თუმცა აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერი გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, რომ ეს ყველაფერი ერთი წლით გადადებულიყო, – ამბობს ხაზარაძე.

„ივანიშვილსაც გააზრებული აქვს, რომ ქვეყანას ახალ ეტაპზე სჭირდება გადასვლა“

ლელა ჯეჯელავა: „მოშე ყოველთვის ხმებს ვერ მოიტანს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

– ქალბატონო ლელა, დღეს საქართველო კანდიდატის სტატუსს ელოდება, მთელი საზოგადოების ყურადღება აქვთ არის მიპყრობილი. ცოტა შიშიც გაჩნდა ორბანის პოზიციის გამო. რა მოლოდინი გაქვთ და რას იტყვით ორბანის პოზიციაზე?

– მე მიმაჩნია, რომ ორბანის პოზიცია ძალიან მკაფიოდ ფორმულირდება, როგორც პოლიტიკური პროსტიტუცია! ამას არ აქვს არაფერი საერთო პოლიტიკურ პრაგმატიზმთან და საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებისთვის ბრძოლასთან. ის, რასაც ახლა ორბანი აკეთებს, არის შანტაჟი და ევროკავშირმა თავად შექმნა საფუძველი ამ ტიპის დამოკიდებულებისთვის. უწევს იმის მომკა, რაც დათესა. ძალიან მაღალია ფასი, აი იმ პაკეტის, რომელიც რეკომენდაციის სახით წარმოდგენილი აქვს ევროკომისარს, რომ მხარი დაუჭირონ ევროპის ლიდერებმა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რაც გულისხმობს უკრაინა-მოლდოვისთვის მოლაპარაკებების გახსნას და სტატუსის მინიჭებას საქართველოსთვის.

არ გამოვრიცხავ, რომ ევროკავშირი დაჰყვეს ორბანის ამ ვაჭრობას. რამდენადაც ვიცი, 10 მილიარდზე იყო უკვე თანხმობა ევროკავშირის მხრიდან. თუმცა ორბანმა თავისი ფასი უკვე დაასახელა, საუბარია 30 მილიარდზე. როგორც ჩანს, 30 მილიარდს თუ მიიღებს უნგრეთი, ამის შემდეგ უკრაინაში აღარც კორუფციის პრობლემა იქნება და აღარც სხვა პრობლემები?!

– ორბანი ვაჭრობს მაქსიმალურად?

– რასაკვირველია. როგორც ჩვენ ვხედავთ, მთელი მსოფლიო შესულია ძალიან რთულ ფაზაში. ყველაზე სამწუხარო და ყველაზე ტრაგიკული აქ არის ის, რომ რეალურად, ღირებულებების საფარქვეშ ყიდიან მეძავობას ისეთი პოლიტიკოსები, როგორიც არის ორბანი და ტრამპი. ისინი ყველაფერზე მიდიან საკუთარი ძალაუფლებისთვის და ამას არა აქვს არაფერი საერთო არც საკაცობრიო ღირებულებებთან და არც სახელმწიფო ინტერესებთან. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არის იმ მძიმე შეცდომების საზღაური, რომელსაც დასავლეთი წლების მანძილზე უშვებდა. აი ამ პოლიტიკოსების სახით, ბოროტ თესლს ნერგავდა ევროპულ და დასავლურ პოლიტიკაში.

– როგორია თქვენი მოლოდინი, რას ელოდებით?

– მე როგორც ვფიქრობ, ძალიან მაღალია გეოპოლიტიკური ფასი ამ პაკეტის, რომელიც წარმოდგენილი აქვს ევროკომისიას. ამიტომ ვფიქრობ, რომ შესაძლოა შეთანხმება მოხდეს ორბანსა და ევროკომისიას შორის. თუმცაღა, ორბანი არ არის ერთადერთი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ამ პროცესს. აქვეა ავსტრიაც. ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევთ ამ დარჩენილ მცირე ვადაში. ჩემი მოლოდინი ყოველთვის არის ოპტიმისტური და ახლაც ვთვლი, შეიძლება ეს საბოლოოდ დასრულდეს იმ შედეგით, რომელიც ჩვენ ყველას გვინდა. და თუ არ დასრულდა ისე, როგორც ჩვენ გვინდა, არც ეს იქნება კატასტროფა, რადგან მერე გარდაუვალად დადგება ევროკავშირის დღის წესრიგში მთელი დასავლური პოლიტიკის გადააზრების აუცილებლობის საკითხი.

– დაძლევს ევროკავშირი ამ წინააღმდეგობას?

– აუცილებლად! ორბანი გადაიხდის ძალიან დიდ ფასს. ახლა რომც დაყვნენ მის მოთხოვნებს და ის 30 მილიარდის მიცემა მოუწიოთ, ორბანი გადაიხდის ისეთ დიდ ფასს, რომელიც, უბრალოდ, არც ამ დიდი ფულის სახით გამოიხატება. გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე რასაც ის ახლა ითხოვს.

– შიდა პოლიტიკურ პროცესებზე რას იტყვით? „ქართული ოცნება“, რომ იტყვიან, გახურებულ საარჩევნო კამპანიაშია შესული. დაიქირავეს უცხოელი მრჩევლებიც. რამდენად აგრესიული წინასაარჩევნო კამპანია გველის?

– სინამდვილეში, საქართველოში წინასაარჩევნო კამპანიას და „ოცნების“ პიარს, არა მოშე, არამედ „ეფესბე“ ატარებს. მოშე, უბრალოდ, არის იმის ტექნიკურად აღმსრულებელი, რა დაკვეთაც მოდის „ეფესბედან“. მე მესმის, რატომ შეაჩერეს მოშეზე არჩევანი, აქვთ პოზიტიური გამოცდილება. თუმცა, ძველი ქართული ანდაზისა არ იყოს, ცოტა გადავაკეთოთ და მოშე ყოველთვის ხმებს ვერ მოიტანს. ყველაფერს აქვს თავისი შესაფერისი დრო და მოცემულობა, როდესაც ის კარგად მუშაობს. ახლა მგონია, რომ საქართველოში არ არის ის ვითარება, როდესაც მოშეს შეუძლია გადაწყვიტოს არჩევნების ბედი და იყოს ისეთივე წარმატებული „ოცნებისთვის“. ამ შემთხვევაში ბევრი სხვა ფაქტორი იმუშავებს.



„ორბანის პოზიცია ძალიან მკაფიოდ ფორმულირდება, როგორც პოლიტიკური პროსტიტუცია!“

ამიტომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, საზოგადოების სწორი დამოკიდებულებები. მე ვხედავ, რომ საზოგადოებას, მეტ-ნაკლებად სწორი დამოკიდებულებები აქვს.

– თუმცა, მეორე მხრივ, ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიცია იმდენად ცუდ მდგომარეობაშია, არ არის გამორიცხული, „ოცნებამ“ შეძლოს ისევ გამარჯვება. მარტო საზოგადოების განწყობა უშველის ამ სიტუაციას?

– მესმის, რომ ოპოზიცია არ არის საუკეთესო ფორმაში და ამას ყველა ძალიან კარგად ვხედავთ. ამის მიუხედავად, ოპოზიცია ახლა არის ჩვენს ხელში იარაღი ცვლილებებისთვის. ამ წუთში სხვა რა დანიშნულება აქვს ოპოზიციას საზოგადოებისთვის? იმისთვის, რომ იარაღი მთლად კარგი არ არის, მისი გადაგდება და საერთოდ შიშველი ხელებით შებმა, არ იქნება სწორი გადაწყვეტილება. ამიტომ, ჩვენი, საზოგადოების, ამოცანაა, რომ ის რესურსი, რაც გვაქვს ოპოზიციის სახით, გამოვიყენოთ სწორად.

– რას იტყვით პრეზიდენტის როლზე ამ პროცესში? გაჟღერდა უკვე მისი მხრიდან, რომ არ გამორიცხავს 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობას. რა პროცესებს უნდა ველოდეთ?

– ალბათ კარგად გახსოვთ, რომ ჩვენ ამაზე ბევრად დიდი ხნით ადრე ვსაუბრობდით. მაშინაც კი, ძალიან მკაფიოდ ჩანდა ეს ყველაფერი. მიუხედავად იმისა, სტატუსს მივიღებთ თუ არა, პრეზიდენტი მაინც შევა წინასაარჩევნო ბატალიებში, ოღონდ შესვლის ფორმა იქნება განსხვავებული. თუკი არ მოგვცეს სტატუსი, მაშინ მისი როლი და ფუნქცია იქნება უფრო მაღალი, უფრო მკაფიოდ განსაზღვრული. შესაბამისად, უფრო იოლად მოუწევს მას პოლიტიკურ ველზე შემოსვლა. სტატუსის მიღების შემთხვევაშიც არ გაუჭირდება ამ ბატალიებში ჩართვა.

– „ოცნება“ რამდენად უფრთხის პრეზიდენტს? დღე არ გავა, კობახიძემ პრეზიდენტი რომ არ ახსენოს. ნაცების გამოკვეთილი ლიდერიაო და რას არ ვისმენთ.

– პრეზიდენტი თუ ვინმეს ლიდერი არ არის, ნაციონალური მოძრაობის ლიდერი არ არის. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის მიღმა არსებული პოლიტიკური პარტიების შეკრების ცენტრი და მიზიდულობის ცენტრი კი ნამდვილად შეიძლება გახდეს. როგორც ვხედავთ, ასეც არის ჩაფიქრებული. ეს ძალიან მკაფიოდ ჩანდა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ. რაც შეეხება, კობახიძის და „ოცნების“ მმართველი გუნდის აი ამ დამოკიდებულებას და შიშებს, მე ძალიან კარგად მესმის მათი. რეალურად თუ ვინმეს ემუქრება საფრთხე, სწორედ ეგენი არიან. მათი არსებობა და საჭიროება არჩევნების შემდეგ აღარანაირად არ იარსებებს ქვეყანაში. მათ შეასრულეს ის ფუნქცია, რაც უნდა შეესრულებინათ კონკრეტულ მომენტში. ხომ იცით ცნობილი ფრაზა – მავრმა თავისი გააკეთა, მავრი უნდა წავიდეს. ანუ ეს გუნდი უნდა წავიდეს და მე ასე მგონია, რომ ეს ნამდვილად ასე იქნება. ამიტომ მათი პოზიცია ჩემთვის გასაგებია. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ მე ვერ ვხედავ, ეს პროცესები დამოკიდებული იყოს მთლიანად სალომე ზურაბიშვილზე და მან განსაზღვროს საბოლოოდ მისი მიზიდულობის ცენტრის გარშემო, ვის ექნება მიზიდვის უფლება. ეს ალბათ სხვაგან და სხვაგვარად გადაწყდება. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. არაფორმალურ მმართველსაც გააზრებული აქვს, რომ ქვეყანას ახალ ეტაპზე სჭირდება გადასვლა, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. დანარჩენს გვაჩვენებს დრო.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის მცდელობის ფაქტები აღკვეთეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტებში: „ქუთაისის აეროპორტი“ და „სადახლო-სპავტომობილო“, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო ჯამში: 468,15 გრამი) გამოვლინდა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.



არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 47.146,64 ლარი შეადგინა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, 2 კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით ჯარიმა, ჯამში 28.458,07 ლარის ოდენობით შეეფარდათ, ხოლო ერთი კანონდამრღვევი, უცხო ქვეყნის მოქალაქის საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ძალადობის ფაქტებზე, შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორი დააკავა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ძალადობის ფაქტებზე, ახალციხეში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორი დააკავეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, ჩატარებული გამოძიების შედეგად, სამართალდამცველი მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ჩადენილ 3 ძალადობრივ ეპიზოდში იქნა მხილებული.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის 17 ნოემბერს, ახალციხეში, კოსტავას ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დაცვის პოლიციის ინსპექტორმა ჰ.ს.-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქე მ.მ.-ს.

2023 წლის 19 ნოემბერს, სამართალდამცავმა ახალციხის რაიონში საკუთარი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერი-

ტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დაზარალებული მოქალაქის შვილს და მის მეგობარს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

2023 წლის 27 ნოემბერს, ახალციხის რაიონში, დაცვის პოლიციის ინსპექტორი დაზარალებულ მ.მ.-ს კვლავ შეხვდა და განმეორებით სცემა, ხელი სახის არეში რამდენჯერმე დაარტყა და ორივე ხელი ყელის არეში ძლიერად მოუჭირა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებული მოქალაქის საჩივრის საფუძველზე, დანაშაულის ამსახველი ვიდეოკამერის ჩანაწერები გამოითხოვა; დანიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის მიხედვით, ერთ-ერთ დაზარალებულს სხეულზე სისხლნაჟღენთები და ნაჭდევები აღენიშნებოდა. ასევე, მოპოვებული იქნა სამართალდამცავის დანაშაულში მამხილებელი სხვა მტკიცებულებები, რის საფუძველზეც ინსპექტორი ძალადობის ბრალდებით იქნა დაკავებული.

დანაშაული 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე აგრძელებს გამოძიებას.

„სალომე ზურაბიშვილი არჩევნების დროს ძალიან საჭირო ფიგურა იქნება“

გედევან ფოფხაძე: „2024 წლის არჩევნები ჩაივლის ამომრჩევლის დაშანტაჟებაზე, დაშინებასა და მუქარაზე“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა თუ არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო, როგორ ფიქრობთ, რა გავლენას იქონიებს? მან თქვა, თუ ქვეყნის პროდასავლურ კურსს საფრთხე დაემუქრება, ყველაფრისთვის მზად იქნება.

– მე მგონია, რომ პირველ რიგში, სალომე ზურაბიშვილს ინსტიტუციური მიზიდულობა აქვს. მე მისი როლი ასეთად წარმომიდგენია. პრეზიდენტი, რომელიც ოპოზიციურ სპექტრთან თანამშრომლობს და იცავს ამ ბალანსს ქვეყანაში.

სალომე ზურაბიშვილი თუ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ პრეზიდენტის პოსტიდან გადადგეს და არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, მაშინ ის ერთ-ერთ პოლიტიკურ სუბიექტად იქცევა.

მე მგონია, რომ ის ბევრად უფრო საჭირო ფიგურა იქნება არჩევნებში და არჩევნების შემდგომ პროცესში. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება. ამ დროს მან ინსტიტუციური რეაგირება უნდა მოახდინოს. ამ შემთხვევაში მას არავითარი სხვა დატვირთვა არ უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადადგომისას, კონსტიტუციის შესაბამისად, დაინიშნება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და „ქართული ოცნების“ პარლამენტში ხმოსნები მათ კანდიდატს აირჩევენ პრეზიდენტად ოთხი წლის ვადით.

– სალომე ზურაბიშვილი, როგორც ე.წ. მესამე ცენტრის ლიდერის თუ გამაერთიანებლის ფუნქციით, ამაზეა საუბარი.

– არა, მე ვერ აღვიქვამ მას, როგორც ამ ფუნქციის მქონეს. ის, როგორც პოლიტიკური სპექტრისგან დამოუკიდებელი ფიგურა, უფრო მნიშვნელოვანი მგონია. თან, ისეთი აქტუალური შეიძლება აღარ იყოს ე.წ. მესამე ცენტრი, მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობა ისეთი ძლიერი აღარა არის, რაც გაიყო. მოცემულობა შეიცვალა. პროდასავლურ ფლანგზე ბევრი პარტიაა. გახარია, მამუკა ხაზარაძე, ნიკა გვარამია აქტიურად აპირებს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას. დარწმუნებული ვარ, არჩევნებზე ამომრჩეველს მრავალფეროვანი პროდასავლური სპექტრის არჩევანი ექნება. ამიტომ, მას შემდეგ, რაც კოალიციური მთავრობის ფორმირებას შეძლებს პარლამენტი, მერე შეიძლება ამ ძალების პრეზიდენტობის კანდიდატი იყოს სალომე ზურაბიშვილი.

– ახალი საპრეზიდენტო ვადით აირჩიონ უკვე ხმოსნებმა?

– დიახ, სწორედ ეს ვიგულისხმე. დღეს სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ რესურსს ის ინსტიტუტი განაპირობებს, რომელსაც წარმოადგენს. ამიტომ, არა მგონია, სწორი იყოს გადადგომა.

– კოალიციური მთავრობის ფორმირების შანსი რეალურია თუ მინიმალური?

– 2012 წელს კოალიციური მთავრობა იყო. 6 პოლიტიკური სუბიექტისგან შედგებოდა მინისტრთა კაბინეტი.

– ის კოალიცია თვისობრივად სხვა იყო.

– დიახ, გეთანხმებით, სწორედ ამის თქმა მინდა. თვისობრივად სხვა იყო, რადგან იყო ვერტიკალი. ერთი ქოლგის ქვეშ მოექცა 6 პოლიტიკური სუბიექტი. ბიძინა ივანიშვილი იყო მთავარი. თუმცა, მაშინაც შეიძლებოდა რეალური კოალიცია ყოფილიყო და არ ყოფილიყო ავტორიტარული გამოვლინება. ახლა რეალური კოალიცია სავსებით არის შესაძლებელი. მთავარი იდეა არის ევროპული სამართლებრივი სივრცის შექმნა. ავტორიტარულ რეჟიმს კი იდეა არა აქვს. ერთადერთი იდეა ძალაუფლების შენარჩუნებაა.

– 2024 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ მთავარი იდეა ძალაუფლების შენარჩუნება იქნება?

– კი, რა თქმა უნდა! სხვა რა იდეა უნდა ჰქონდეთ მამუკა მდინარაძეს და ირაკლი კობახიძეს. ერთი ადამიანი განსაზღვრავს პოლიტიკასაც, ქვეყნის კურსსაც, ორიენტაციასაც და ყველაფერს. ეს ადამიანი ერთ მშვენიერ დღეს იტყვის, მარიხუანას კულტივაცია უნდა დავიწყოთ და ესენიც დათანხმდებიან. ეს ადამიანები მის დაკვეთას ასრულებენ. სხვა ფუნქცია მათ არა აქვთ. ამიტომ არის საფრთხის შემცველი ავტორიტარული მმართველობა. ეს არჩევნები შანტაჟზე იქნება აგებული. თუ ჩვენ არ ვიქნებით, ომი იქნება, იტყვიან. არჩევნები ჩაივლის ამომრჩევლის დაშანტაჟებაზე, დაშინებასა და მუქარაზე. ამ დროს იქნება საჭირო პრეზიდენტის ინსტიტუტი, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ერთგვარი გარანტორი.

„მოსკოვს დასჭირდა, რომ აფხაზეთის მაღიარებელი ქვეყნების რაოდენობა გაიზარდოს“

თამაზ ხუბუა: „რუსეთს გეზი აქვს აღებული, თავის გამგებლობაში ენგურჰესის გადაცემაზე“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამაზ ხუბუა პასუხობს.

– ბატონო თამაზ, აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ არძინბა სირიაში იმყოფებოდა და ბაშარ ასადისაგან აღიარების თაობაზე არაბულ ქვეყნებთან დახმარების პირობა მიიღო. თქვენ რას ფიქრობთ? ამ კუთხით სეპარატისტებისთვის რაიმე წარმატების მიღწევა შესაძლებელია?

– ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ არძინბა რუსეთის, კრემლის ჩამოყალიბებული ვასალია. მათი ხელდასმულია. თითქმის დამტკიცებულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ინალ არძინბა და დე ფაქტო ადმინისტრაციაში თითოეული ადამიანი – მისი კოლეგები აკეთებენ იმას, რა მესიჯებსაც მოსკოვიდან იღებენ.

მოსკოვს რატომღაც (გასაგებია რატომ) დასჭირდა, რომ აფხაზეთის მაღიარებელი ქვეყნების რაოდენობა გაიზარდოს და თავისი ვასალი რეგიონის მხარდაჭერა დამატებით მოიპოვოს.

– ახლა მოსკოვს ასეთი მხარდაჭერა მაინც რატომ სჭირდება?

– მოსკოვს ბევრი საკითხი აქვს დასამტკიცებელი აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის, სახალხო კრების, დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ.

– კერძოდ?

ეს ეხება ბიჭვინთის დამტკიცებას, მთლიანი ტერიტორიის გასხვისებას, გაგრა-ბიჭვინთის გასხვისებას, აფხაზეთის ტერიტორიაზე ენერგეტიკული დაწესებულებების პრივატიზაციას.

რუსეთს გეზი აქვს აღებული, თავის გამგებლობაში ენგურჰესის გადაცემაზე. ასევე, მთელი რიგი საკითხებია, რომელსაც ფორმალურად, მაგრამ მაინც, აფხაზეთის ე. წ. პარლამენტისაგან დამტკიცება სჭირდება.

ჯერჯერობით, აფხაზები უძალიანდებიან. „ამცახარაა“, ვეტერანების ოპოზიციური პარტიაა, სხვა მოძრაობებია და ბჟანიას საშუალება არ ეძლევა, ჰაიჰარად და მხოლოდ მისი მხარდამჭერების მობილიზებით, ეს საკითხები გაიტანოს. ამის გამო მოსკოვი ეუბნება (იაფფასიანი შეთავაზებაა), ჩვენ თქვენ გაგიმრავლებთ მაღიარებელი ქვეყნების რაოდენობას, თქვენ კი ჩვენთვის სასურველი და ჩვენს ინტერესებში შემავალი კანონები დაამტკიცეთო.

თქვენ იცით, რომ იქ არის რუსეთისა და აფხაზეთის ეკონომიკური სივრცეების ჰარმონიზაციის საკითხი, რომლის რატიფიკაციაა საჭირო.

აქედან გამომდინარე, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რის გამოც რუსეთს აფხაზეთის მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება. მეტი სხვა ინტერესის ძიება საჭირო არ არის.

ჩვეულებრივი, ელემენტარული მომენტია. რუსეთს უნდა, შექმნილი გეოპოლიტიკური რეგიონალური მდგომარეობიდან, უკრაინა-რუსეთის ომიდან, დასავლეთის რუსეთისადმი დამოკიდებულების, სანქციებისა და მთელი რიგი შემზღუდავი ღონისძიებებიდან გამომდინარე, რომლის შედეგები ნელნელა ჩნდება (რაც დრო გავა, აფხაზეთის ეკონომიკას მეტად დაეტყობა), ცდილობენ, სანამ დროა, რაც შეიძლება მეტი ანექსირებული და თავის გამგებლობაში მყოფი ტერიტორია ჰქონდეთ.

– ინალ არძინბა მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, ე.ი. რუსეთმა თავისი ერთგული კადრი გამოზარდა და ახლა ათამაშებს, როგორც უნდა?

– დიახ. არ არის გამორიცხული, სამომავლოდ პრეზიდენტადაც მოიაზრებოდეს. თბილისისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ბჟანია იქნება, არძინბა თუ სხვა ვინმე, მაგრამ ბჟანიასგან განსხვავებით, ინალ არძინბა პირწავარდნილი სეპარატისტია.

ბჟანია ზოგჯერ მაინც რაღაცას იტყვის, მშვიდობიანი თანა?-რსებო?ის დასაშვებობაზე. ინალ არძინბამ, როგორ საგარეო საქმეთა მინისტრმა, 7 დეკემბერს 15-პუნქტიანი ბრძანება გამოსცა, სადაც მესამე პუნქტში პირდაპირ მიუთითებს, რომ აფხაზეთში იკრძალება ყველა ის პროექტი, რომლის მიზანია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს შორის კომუნიკაცია.

წარმოგიდგენიათ, როგორი სუფთა ფაშისტური ბრძანება? ამის ავტორია ინალ არძინბა. ეს პირწავარდნილი თანამედროვე სეპარატისტი, აფხაზეთში სეგრეგაციისა და აპარტეიდის ნიშნის მატარებელი უპირველესი პიროვნება.

– ბჟანიას გარეშე ასეთი ბრძანების გამოცემა შეეძლო?

– რა თქმა უნდა. როდესაც კრემლისაგან სრული მხარდაჭერა გაქვს, მაშინ თვითნებობის დიაპაზონიც იზრდება. ინალ არძინბას კრემლისაგან ისეთი კარტ-ბლანში აქვს, ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რაც კრემლის გაძლიერებას მოემსახურება.

ეჭვიც არ მეპარება, რომ ინალ არძინბას ბჟანიასთვის არც უკითხავს და არც ეკითხება, ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე რა უნდა გააკეთოს. ასეთი პიროვნებაა ინალ არძინბა – აფხაზეთის საზოგადოებისაგან უმართავია.

საბედნიეროდ, აფხაზეთში კიდევ არიან დარჩენილი ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოსთან და თბილისთან ჩახუტებას კი არ ქადაგებენ, მაგრამ დამოუკიდებლად ყოფნა უნდათ. ასეა თუ ისე, ასეთი ძალები არსებობენ.

– ბაშარ ასადს აფხაზეთის აღიარებაზე არაბული ქვეყნების დათანხმება თუ ხელეწიფება?

– გადაწყვეტით ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ბოლო პერიოდში, სირიის გარშემო განვითარებულ მოვლენებს თუ გავითვალისწინებთ, ეჭვი მეპარება, ასადს ასეთი გავლენა ჰქონდეს,

– სირიის ომის დროს, არაბული ქვეყნები ასადს ხომ არ დაეხმარნენ. ქვეყანა გაუჩანაგდა.

– ეჭვი მეპარება, ასადს ისეთი გავლენა ჰქონდეს, ვინმე ხელის აწევით დაექვე?დებაროს. თანაც აქეთ ისრაელის, „ჰამასის“, „ჰესბოლას“ დაპირისპირების ამბავია. არაბული სამყარო ამ თვალსაზრისითაც გათიშულია.

ზოგიერთი არაბული ქვეყნის რუსეთის მიმართ დამოკიდებულებაც ტანსფორმირებას განიცდის. გადაწყვეტით და კატეგორიულად თქმა არ შემიძლია, მაგრამ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არ ვფიქრობ ისეთი გავლენა ჰქონდეს, არაბულმა ქვეყნებმა სასწრაფოდ აფხაზეთის აღიარების გადაწყვეტილება მიიღონ.

– ანუ მსოფლიოში ისეთი სიტუაციაა, აფხაზეთისთვის არავის სცხელა?

– არსებულ ვითარებას ეს დეფინიცია ზუსტად მიესადაგება. სწორედ რომ არ სცხელათ აფხაზეთისა და ამ საკითხებისთვის. ეს ქვეყნები გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის ზღურბლზე დგანან. საერთოდ, იმ პროცესების ანალიზით, რაც მიმდინარეობს, ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის, ახლო აღმოსავლეთში მოვლენები როგორ განვითარდება.

– ბევრი ექსპერტი აცხადებს, რომ რუსეთმა ახლო აღმოსავლეთში ომის გაჩაღება წააქეზა, ანუ „ჰამასი“ წააქეზა, რომ ისრაელთან ომი დაეწყო.

– ეს საეჭვოც არ არის. აფხაზეთში, სოხუმში ყველაფერი – 150% და მეტით – კრემლის კარნახით ხორციელდება. მათ კრემლი სისტემატიურად აშანტაჟებთ, ქულებს მოგაკლებთო. გარკვეული რაოდენობა დაფინანსებისა ჩამოაჭრეს, მაგრამ კიდევ ემუქრებიან, ნოლზე დაგსვამთ, ჭკვიანად მოიქეცითო.

ოკუპირებულ აფხაზეთში ადგილობრივი ქართველების გააფხაზების პროცესი დაიწყო

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ქართველების ხოცვა, გატაცება და დაშინება ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ერთ-ერთი შემზარავი შემთხვევა ამ დღეებში აფხაზეთში მოხდა. გალის რაიონის მკვიდრს, თემურ კარბაიას აფხაზური მილიცია ისე გაუსწორდა, რომ ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. მანამდე რუსეთის საოკუპაციო ძალებმა მოკლეს სალოცავად ეკლესიაში წასული თამაზ გინტური, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალიდან.

ადამიანების უსაფრთხოება არ არის დაცული არც ოკუპირებულ რეგიონებში და არც გამყოფ ზოლებთან.

ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველების შევიწროება სხვა მხრივაც დაიწყო. მიღებული კანონმდებლობის წყალობით, ქართველებს აფხაზებად ჩაწერენ და აფხაზურ ე.წ. მოქალაქეობას ჩამოურიგებენ.

აფხაზეთის ქართველობის პასპორტიზაცია ოკუპირებული აფხაზეთის ყველა რეჟიმისთვის მუდმივ თავის ტკივილად იქცა. ამ საკითხს 2014 წელს გადაჭყვა ალექსანდრე ანქვაბი და მისი მთავრობა. დღეს ანქვაბი ისევ დე ფაქტო პრემიერია. 2014 წლის ამბების შემდეგ იგი გარკვეული ხნით ჩამოცილებული იყო პოლიტიკას. ანქვაბმა მაშინ ქართველებს მისცა აფხაზური პასპორტების აღების უფლება. ამან პროტესტი და მთავრობის გადადგომა გამოიწვია. ქართველებს აღებული აფხაზური პასპორტები გაუუქმეს. მათ სთავაზობდნენ ბინადრობის მოწმობებს. ამაზე უმრავლესობა უარს ამბობდა. 2022 წლის წინ იყო პრობლემის მოგვარების მცდელობა და კანონით, ქართველებს სთავაზობდნენ ეროვნების შეცვლას (აფხაზად რეგისტრაციას) აფხაზური მოქალაქეობის მისაღებად. ეს კანონი მოგვიანებით გაუქმდა, ვინაიდან ჩაითვალა, რომ ის „ემუქრება აფხაზეთის ეროვნულ უსაფრთხოებას“.

ამჟამად ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველების „მოსაქცევად“ კანონის კიდევ ერთი ვარიანტი მომზადდა. ამ ვერსიით, „სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის შესახებ“ კანონში მომზადდა ცვლილებები, რომლითაც, ქართველებს, რომლებსაც „აფხაზური ფესვები“ აქვთ, უფლება ეძლევათ „დაიბრუნონ ნამდვილი გვარი“ და მიიღონ აფხაზეთის მოქალაქეობა.

ბუნებრივია, ეს არის საოკუპაციო ადმინისტრაციის მორიგი ზეწოლა აფხაზეთის ქართველობაზე. მიიჩნევდა თუ არა რომელიმე მათგანის შორეული წინაპარი თავს არაქართველად, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

შესწორებები აფხაზეთის ე. წ. პარლამენტმა 7 დეკემბერს მიიღო, ამ თემაზე ღელვამ და დისკუსიებმა კი ახლა უფრო იჩინა თავი. ცხადია, რომ ამ თემაზე აფხაზების პოლიტიკური დავა სხვა კუთხით მიმდინარეობს და ქართველების უფლებებზე თავის გამოდება არ ხდება. ზოგიერთი მეგრულ თემას ავითარებს და ნერგავს აზრს, თითქოს მეგრელები ქართველები არ არიან.

რას ეხება პროტესტი?

ვეტერანთა ორგანიზაცია „არუაას“ ლიდერები თემურ გულია და თემურ ნადარაია იმის გამო ვიშვიშებენ, რომ ამ გზით აფხაზეთის მოქალაქეობას მიიღებენ ის ქართველებიც, რომლებსაც ის არ ეკუთვნით და ისინი გადაიქცევიან მეხუთე კოლონად.

თემურ გულია, „არუაა“-ს თავმჯდომარე:

– ეროვნების შეცვლა გახდება საქართველოს მოქალაქეებისთვის მეორე მოქალაქეობის (აფხაზეთის) მიღების საფუძველი. მათ მიენიჭებათ პოლიტიკური უფლებები. ისინი შეძლებენ კენჭი იყარონ პარლამენტის დეპუტატებად, პრეზიდენტად. მათ შეეძლებათ გამოვიდნენ რეფერენდუმების ინიციატორებად და ა. შ. იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც საუკუნის წინ შეუცვალეს ეროვნული კუთვნილება, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა მნიშვნელოვანია. ამასთან, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ კანონის მიღებით ადამიანების მოქალაქეობრივი პოზიცია არ იცვლება. საჭიროა სპეციალური პროგრამის შექმნა და ყველა გარემოების გათვალისწინება.

ვიტალი გაბნია, პარტია „აფსნი“-ს თავმჯდომარე:

– როცა ვამბობთ, რომ მათი შვილები უნდა გახდნენ აფხაზები, ვკარგავთ კიდევ ერთ თაობას. გაუგებარია, როგორ უნდა პოზიციონირებდეს ბავშვი აფხაზად, როცა მშობელი ქართველი ჰყავს. ეს არალოგიკური მიდგომაა. შესაქმნელია მექანიზმი, რომელიც ამ სიტუაციის ბოროტად გამოყენების საშუალებას მოსპობს.

თემურ ნადარაია, „არუაა“, გალის რაიონის ყოფილი გამგეგელი:

– მიღებულმა ცვლილებებმა დაგვაბრუნდა 2013 წელს, როცა წარმოიქმნა პოლიტიკური კრიზისი უკანონო პასპორტიზაციის გამო. წინააღმდეგი არ ვართ, რომ გალის რაიონის მცხოვრებლებს ეროვნების გრაფაში „მეგრელი“ ჩაუწერონ. რამდენიმე წლის წინ გალის რაიონის 20 000-მდე მცხოვრებს ბინადრობის მოწმობა ჰქონდა.

კანონის ინიციატორი კან კვარჩია:

– აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ეთნიკურ აფხაზებს უფლებას ვაძლევთ, აღიდგინონ ეროვნება და დაიბრუნონ გვარები.

საუბარია იმაზე, რომ, მაგალითად, ზუხბაია ზუბხად ჩაეწეროს, თარბაია – თარბად.

მისი თქმით, საქართველოს მოქალაქეობა აქ დაბრკოლებად არ უნდა იქცეს. გვარჩიას ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეობა უამრავ აფხაზს აქვს. მათ შორის, აფხაზეთის გმირებს.

კვარჩიას სიტყვები საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ტყუილი არ არის. საქართველოს მოქალაქეობა აქვს ბევრ აფხაზს. ენგურგაღმა მცხოვრებლები სარგებლობენ ჯანდაცვის პროგრამებით.

ამის შესახებ ამ დღეებშიც ისაუბრა საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა.

– რეფერალური სახელმწიფო პროგრამის უწყვეტ და ეფექტიან ფუნქციონირებასთან ერთად გრძელდება აფხაზეთის რეგიონის დახმარება სათანადო მედიკამენტებითა და ვაქცინებით. სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი გახდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ნეიტრალური რეგისტრაციის მქონე პირებისთვის, – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

კარგი იქნებოდა, ასეთი პროგრამების გატარებასთან ერთად, სახელმწიფოს ოკუპირებულ რეგიონებში დარჩენილი ქართველების უსაფრთხოება და უფლებებიც დაეცვა.

რუმინეთში გემიდან ქართველი მეზღვაური გადავარდა და დინებამ გაიტაცა

რუმინეთში ღუზაზე მდგომი გემიდან ქართველი მეზღვაური გადავარდა. მას ამ დრომდე ეძებენ. მეზღვაურის გაუჩინარების ფაქტს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში ადასტურებენ. შემთხვევა გუშინ, 13 დეკემბერს მოხდა.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში შემოსული ინფორმაციით, რუმინეთში, კონსტანტას ნავსადგურის აკვატორიაში, სანაპიროდან 60 საზღვაო მილის მოშორებით, ღუზაზე მდგომი გემიდან გადავარდა ქართველი მეზღვაური.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეკიპაჟი მაშინვე შეეცადა მას საკუთარი ძალებით დახმარებოდა, გადაუგდეს სამაშველო რგოლი, თუმცა მეზღვაური დინებამ გაიტაცა და ვერ შეძლეს გემზე ამოყვანა.

რუმინეთში საქართველოს კონსულისა და რუმინეთის ზღვაზე ძებნა-გადარჩენის სამსახურისგან მიღებული ინფორმაციით, გემის კაპიტანმა მომხდარის შესახებ მაშინვე შეატყობინა შესაბამის სამსახურებს, ახლომდებარე გემებს და დაუყოვნებლივ დაიწყო სამაშველო ოპერაცია, რომელიც 13 დეკემბერს მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. მეზღვაურის ძებნის ოპერაცია ასევე დღეს, 14 დეკემბერს განახლდა და ამ დრომდე მიმდინარეობს.

ვინ თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან



პარლამენტმა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო.

კანონპროექტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან და მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება აგროტურისტული და ღვინის ტურისტული საქმიანობების სუბიექტების საქმიანობის ფარგლებში პირის მიერ მიღებული შემოსავალი და გაცემული ხელფასი.

კანონპროექტის თანახმად, სუბიექტებზე აღნიშნული საგადასახადო შეღავათი, აგროტურისტული და ღვინის ტურისტული საქმიანობების სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში გავრცელდება და იგი მხოლოდ იმ სუბიექტებს შეეხება, რომელთა წლიური შემოსავალი 500.000 ლარს არ აღემატება.

მევლუდ მელაძე: „ქალაქი იზრდება სიმაღლეში, გზები კი, პირიქით, ვიწროვდება... მინდა ვთხოვო ქალაქის მერს“

თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში საავტომობილო გზებზე იკრძალება დიდი გაბარიტების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა. შეზღუდვა იმოქმედებს დილის 08:00-დან 11 საათამდე და 17:00-დან 20:00 საათის შუალედში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეზღუდვა არ იმოქმედებს შაბათს, კვირას, უქმე დღეებში და ასევე აგვისტოს პერიოდში. ქალაქის მთავრობაში მიაჩნიათ, რომ თბილისში არსებული საცობები დიდწილად სწორედ დიდი გაბარიტების ავტომობილების ბრალია.

„საქართველოს საავტომობილო ფედერაციის“ ვიცე-პრეზიდენტმა მევლუდ მელაძემ განაცხადა, სატვირთო ავტომობილები მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია საცობის და მათი გადაადგილების შეზღუდვა, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

– ქალაქი იზრდება სიმაღლეში, ისედაც მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ემატება მაღალსართულიანი კორპუსები, გზები კი, პირიქით, ვიწროვდება კერძო ავტომობილებისთვის. კარგია, რომ ავტობუსები მრავლდება და ავტობუსების ზოლი არის, მაგრამ აქ უნდა იყოს ბალანსი.

რაც შეეხება დიდი გაბარიტების ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეზღუდვას, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, მაგრამ ძალიან მცირე და ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. ალბათ ერთეულ ადგილებში იქნება მომენტი, რომ ეს რეგულაცია განმუხტავს საცობებს, მაგრამ მხოლოდ მცირედით.

ქალაქი როგორც არის ახლა მოწყობილი, წლების წინაც ვამბობდი, რომ მიგვიყვანდა კოლაფსამდე, რაც, თუნდაც, გუშინაც მოხდა. ერთმა თუ ორმა მცირე საგზაო შემთხვევამ შეძლო მთელი ქალაქის პარალიზება, რაც არ არის სწორი, რადგან კონკრეტულ ერთ ადგილზე მომხდარი შემთხვევა, არ უნდა ანგრევდეს და ყინავდეს მთელ ქალაქს.

ვფიქრობ, ვიწრო წრე არ უნდა მსჯელობდეს ქალაქის მოწყობაზე. მინდა გამოვიყენო თქვენი ეთერი და ვთხოვო ქალაქის მერს და იმ ჯგუფს, ვინც მუშაობს ამ საკითხებზე, რომ სასწრაფოდ მოიწვიონ ყველა მიმართულების ექსპერტი და ერთი გლობალური გადახედვა მოხდეს თუ რა, სად, როგორ შეიძლება შეიცვალოს და ერთად ვიპოვოთ გასაღები, როგორ უნდა მოეწყოს ქალაქი, – აღნიშნა მელაძემ.

როგორც დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, საცობები ერთ-ერთი გამოწვევაა და ამის მთავარი მიზეზი ავტომობილების გადაჭარბებული რაოდენობაა. 650 ათასი ავტომობილი მოძრაობს თბილისში პიკის საათში. წარმოგიდგენიათ?

მეან-გინეკოლოგები დღესდღეობით ხელფასის გარეშე მუშაობენ

პაციენტები არიან საკმაოდ დაბნეულები. ყოველდღე, ასოციაციის გვერდზე შემოდის 30-35 წერილი და გვეკითხებიან, როგორ ხდება პერსონალური ექიმის აყვანა, რადგან არიან ორსულები, რომლებიც 9 თვე კონკრეტულ ექიმთან დადიოდნენ და სწორედ მისი აყვანა სურთ მშობიარობაზე. რა საფრთხეების წინაშეა სამშობიარო კლინიკები? – გადაცემაში „საქმე“ ექიმთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარემ, სალომე ლოლუამ ისაუბრა.

– 2012 წელს, როდესაც ჯანდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ მშობიარობა და საკეისრო კვეთა დაეფინანსებინა, ყურადღება მინდა გავამახვილო იმაზე, რომ საუბარია 11 წლის წინანდელ ტარიფებზე 500 და 800 ლარზე, ეს თანხა ამ დროის განმავლობაში არ შეცვლილა. დღეს, 2023 წელს მშობიარობა გახდა 1.221,92 ლარი და ანალოგიურად საკეისრო კვეთაც.

ახლა გეტყვით, რა შეზღუდვები აქვს □ღ□ სისტემას: 1.221,92 ლარში შედის პერსონალური ექიმის აყვანაც, გაუტკივარება, ანესთეზიოლოგი, ანესთეზიოლოგის ექთანი, ბებია-ქალი, ექთანი, სანიტარი, ნეონატოლოგი და მისი ექთანი, ასევე, დედის და ბავშვის მოვლა და ყველა აუცილებელი პროცედურა სამშობიაროში ყოფნის პერიოდში. როგორც მოვითვალეთ, სამშობიაროს, რომელიც, როგორც წესი, დაახლოებით 7-8%-იან მოგებაზე მუშაობს, 1.120 ლარი სჭირდება ამ ყველაფრისთვის. დარჩა დაახლოებით 110 ლარი, რომელიც კიდევ იბეგრება. რჩება დაახლოებით 90 ლარი, ესეც უკეთეს შემთხვევაში. თუ საჭირო გახდა დამატებითი კვლევები, ეს 90 ლარიც არ რჩება. ანუ გამოდის, რომ მეან-გინეკოლოგები დღესდღეობით ხელფასის გარეშე მუშაობენ და პასუხს აგებენ ორი ადამიანის, დედისა და ბავშვის სიცოცხლეზე, – აცხადებს სალომე ლოლუა.

მისი თქმით, სამწუხაროდ, როდესაც სახელმწიფომ ეს გადაწყვეტილება მიიღო, 1.221 ლარიდან, სადაც შესულია ექიმის თანხაც და ანესთეზიის თანხაც, არ დაკონკრეტდა, 5 ლარით განისაზღვრება ექიმის ანაზღაურება თუ 500 ლარით.

– კანონი ძალაში 15 ნოემბერს შევიდა და უკვე არის გარკვეული კოლაფსი, როგორც კლინიკის მეპატრონეების, ისე მეან-გინეკოლოგების მხრიდან. არის შემთხვევები, რომ კლინიკა აცხადებს, რომ ვერ დააფინანსებს ვერც ერთ თეთრს, არის ასევე შემთხვევები, როდესაც ექიმი უარს აცხადებს სპეციალურად მისვლაზე კლინიკაში და მშობიარობის მიღებაზე. საქმე ისაა, რომ ვერც ვერავინ დაავალდებულებს მათ, – აცხადებს ასოციაციის თავმჯდომარე.

როგორც სალომე ლოლუა აცხადებს, □ღ□-ის სისტემაზე სამშობიარო სახლების გადაყვანამ დაბნეულობა გამოიწვია ერთი მხრივ, პაციენტებში, მეორე მხრივ – კლინიკის მფლობელებში და მესამე მხრივ – სამედიცინო პერსონალში. მისი თქმით, ბევრი სამშობიარო სახლი დახურვის პირასაა.

პირველად ვინ გაისროლა რუსთაველის გამზირზე?

გთავაზობთ ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან.



– ბატონ თენგიზ, როგორ იწყებოდა ღია სამხედრო დაპირისპირება რუსთაველის გამზირზე?

– 21 დეკემბერს პირველი სკოლის წინ ისევ გაიმართა ოპოზიციის მიტინგი. მთავრობის სახლთან მისასვლელი გზები რუსთაველის გამზირზე ორივე მხრიდან გადაღობილი იყო ბეტონის ფილებით დატვირთული სატვირთო ავტომობილებით. ოპოზიციამ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მიმართა წინადადებით, მოეხსნათ ბარიკადები; გაეყვანათ სატვირთო ავტოტრანსპორტი რუსთაველის გამზირიდან, რათა გაერთიანებულიყო ხელისუფლების და ოპოზიციის მხარდამჭერთა მიტინგები და ორივე დაპირისპირებულ მხარეს ხალხისთვის ერთი ტრიბუნიდან მიემართა. ოპოზიციის ეს წინადადება უპასუხოდ დარჩა.

– ასე რატომ მოხდა?

– როგორც შეგვატყობინეს, ზვიად გამსახურდია მიტინგების გაერთიანების კატეგორიული წინააღმდეგია იმ მიზეზით, რომ დაპირისპირებული მომიტინგეების გაერთიანება შეხლა-შემოხლაში და ჩხუბში გადაიზრდებოდა, რასაც სისხლისღვრა მოჰყვებოდა. ოპოზიცია შეეცადა, რომ ამ არგუმენტის უსაფუძვლობა განემარტა. რადგან ოპოზიციის მხარდამჭერი მომიტინგეები თავად მოითხოვდნენ მიტინგების გაერთიანებას და არავითარი აგრესიული ქმედებების საშიშროება არ იყო. ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა.

– რა ხდებოდა ამ დროს გამზირზე?

– შეგვატყობინეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრ დილარ ხაბულიანს, რომელიც მხატვრის სახლთან, ბარიკადებთან ახლოს იმყოფებოდა, ოპოზიციის მომიტინგეების მხრიდან რაღაც სითხე თვალებში შეასხეს და ის საავადმყოფოში წაიყვანეს.

დაბინდებისას ოპოზიციურმა ძალებმა მძიმე სატვირთო მანქანები მოიყვანეს და ბეტონით დატვირთული ავტომანქანების გათრევა, ე.ი. ბარიკადების დაშლა დაიწყეს. ეს პროცესი დაახლოებით საათნახევარი-ორი საათი გაგრძელდა. რუსთაველის პროსპექტი ბარიკადებისგან მთლიანად გაიწმინდა. დაპირისპირებული მიტინგები გაერთიანდნენ. იყო დავა, კამათი, საპირისპირო არგუმენტების გამოყენებით, მაგრამ არავითარ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. ხელისუფლების მხრიდან ბარიკადების მოშლის პროცესს რაიმე სახის წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. ერთადერთი ამის გამო აღშფოთებას გამოთქვამდნენ „მდედრიონელი“ დედაკაცები, რომლებიც რატომღაც მრავლად იყვნენ მთავრობის სახლში. როგორც შემდეგ ბუნკერიდან გამოსულებმა შეგვატყობინეს, ისინი შეურაცხყოფასაც კი აყენებდნენ მილიციელებს და გვარდიელებს და მათ მოუწოდებდნენ შეეჩერებინათ ბარიკადების მოშლა.

ბარიკადების მოშლის პროცესს ერთი, შეიძლება ითქვას, კომიკური სცენა დაემთხვა. ხელისუფლების მხრიდან ორატორი მომიტინგეებს დროგამოშვებით აცნობდა, უცხოეთის რომელმა ქვეყანამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ისე გამოდიოდა თითქოს ყოველი მანქანის გათრევას ახალი ქვეყნის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მოჰყვებოდა.

ჟურნალისტებმა, რომლებიც მიტინგების მსვლელობას აშუქებდნენ, შემატყობინეს, რომ ოპოზიციონერებმა გაიტაცეს ქალაქის მერი თამაზ ვაშაძე და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. დაახლოებით ერთ საათში გავარკვიეთ, რომ იგი თბილისის ზღვაზე აუყვანიათ. ჩემთან მოვიდა შს მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე და მითხრა, რომ მეორე დღით, 22 დეკემბერს თბილისის ზღვაზე ამოვიდოდნენ ის, პროკურატურის და უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელები და ყველაფერს იღონებდნენ იმისთვის, რომ ჩემი და გამსახურდიას შეხვედრა მოეწყოთ. მე მაშინვე ვაცნობე მიტინგის მონაწილეებს ეს ინფორმაცია და 23 საათზე მიტინგი დამთავრებულად გამოვაცხადე. გამოცხადდა, რომ 22 დეკემბერს 17 საათზე რუსთაველის გამზირზე პირველი სკოლის წინ, ან თუ შესაძლებელი იქნებოდა მთავრობის სახლთან გაიმართებოდა ოპოზიციური ძალების მორიგი მიტინგი და სასურველი იყო, რომ იქ ხელისუფლების მომხრეებიც მისულიყვნენ და ღიად გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი.

– რა პოზიციას იკავებდნენ ამ ვითარებაში სამართალდამცავი ორგანოები?

– სავსებით სწორი პოზიცია ეკავა თბილისის მილიციას, რომელსაც ევალებოდა წესრიგის დამყარება რუსთაველის პროსპექტზე. ამას უშუალოდ ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე. არავითარი აგრესია, პირიქით, ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ექსცესებს ადგილი არ ჰქონოდა. მიტინგის დამთავრების შემდეგ ოპოზიციის მომხრე დაახლოებით 400-მა, 500-მა კაცმა გადაწყვიტა, რომ ღამე აქვე რუსთაველის პროსპექტზე გაეთენებინათ იმ მიზნით, რომ არ მიეცათ საშუალება ხელისუფლებისთვის ისევ მოეწყო ბარიკადები პროსპექტზე. ღამეს ისინი მსუბუქ ავტომობილებში ათენებდნენ, რომლებიც პროსპექტის ორივე მხარეს იდგნენ; პირველი სკოლის, კავშირგაბმულობის სამინისტროს, სამხატვრო გალერეის, სასტუმრო თბილისის წინ.

მოთათბირების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ღამე მეც რუსთაველის პროსპექტზე გამეთენებინა და თბილისის ზღვაზე არ ავსულიყავი. ღამეს მიკროავტობუსში ვათენებდით, რომელიც სამხატვრო გალერეის წინ იდგა. ჩემთან ერთად დარჩა მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ გეგეშიძე და 12 გვარდიელი, რომელთაგან ავტომატური იარაღი მხოლოდ ნახევარს ჰქონდა. თბილისის ზღვაზე თენგიზ კიტოვანს შევუთვალეთ, რომ დილით ავიდოდით თბილისის ზღვაზე, ხოლო 17 საათისთვის ისევ თბილისში უნდა ვყოფილიყავით.

მთელი დღე უჭმელები ვიყავით. ღამის პირველ საათზე არქიტექტორმა დავით ახვლედიანმა საკვები და ცოტა კონიაკი მოგვიტანა. საკმაოდ ციოდა და დაძინების წინ ას-ასი გრამის დალევა არ გვაწყენდა. დავიძინეთ ღამის ორის ნახევარზე. ირგვლივ აბსოლუტური სიმშვიდე სუფევდა.

– როგორ დაიწყო 1991 წლის 22 დეკემბერი?

– 22-ში დილით ბიჭებმა გამაღვიძეს. თქვენთან უცხო პირს უნდა საუბარიო. დავხედე საათს, 7 საათი და 50 წუთი იყო. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა პირმა გამაფრთხილა – „ბატონო თენგიზ, მთავრობის სახლის ეზოში სამხედროების გამოცოცხლებაა, არ არის გამორიცხული, რომ სროლა ატეხონ. გთხოვთ თავი მოარიდოთ“. მაშინვე დავავალე ბიჭებს გაეფრთხილებინათ მსუბუქ ავტომანქანებში მძინარენი, რომ გაეყვანათ მანქანები რუსთაველის გამზირიდან. ხოლო ჩვენი მიკროავტობუსი სამხატვრო გალერეის უკან, ბაღში შევიყვანეთ. ველით ბიჭებს, რომლებსაც მანქანებში მძინარენი უნდა გაეფრთხილებინათ. არ ჩანან. აგვიანებენ.

უცებ ძალიან ძლიერი სროლა ატყდა. დავხედე საათს – 8 საათი და 04 წუთი იყო. სროლა სულ უფრო ძლიერდებოდა. ჩვენთან ერთად სამხატვრო გალერეის უკან თავს აფარებდა ათამდე მოქალაქე, მათ შორის ოთხი ქალი. ვნერვიულობთ, ბიჭები იგვიანებენ. ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელმაც ბოლოს შეაფარა თავი, შეგვატყობინა, რომ კავშირგაბმულობის სამინისტროს წინ ნახეს სამი თუ ოთხი ახალგაზრდა, რომლებიც დარბოდნენ და იქ გაჩერებულ მსუბუქ ავტომანქანებთან მძღოლებს რაღაცას ელეპარაკებოდნენ. ვივარაუდეთ, რომ მათ კავშირგაბმულობის შენობას შეაფარეს თავი. გადავწყვიტეთ მიკროავტობუსით გავსულიყავით გამზირზე და თბილისის ზღვაზე ავსულიყავით. ბიჭებმა, რომლებიც სიტუაციის დასაზვერად გავაგზავნეთ, გვითხრეს, რომ ეს შეუძლებელი იყო. რადგან ტყვიები წვიმასავით მოდიოდა და ავტობუსი მაშინვე დაიცხრილებოდა. ბენზინიც ძალიან ცოტა იყო დარჩენილი ავზში. გადავწყვიტეთ ჯორჯიაშვილის ქუჩით შევსულიყავით სასტუმრო თბილისში და იქ შეგვეფარებინა თავი. ასეც მოვიქეცით. სასტუმროს ვესტიბიულში ბევრი ხალხი იყო. იგი თავშესაფრის ფუნქციას ასრულებდა. გარეთ გასვლა შეუძლებელი იყო, სროლა გრძელდებოდა.

შეგვატყობინეს, რომ პირველი სკოლის წინ მძიმედ დაიჭრა ჩვენი გვარდიელი მამუკა ბერძენიშვილი, როდესაც დაჭრილი ქალბატონის გამოყვანას ლამობდა. სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში წაუყვანიათ. ჩვენთან მოვიდა მილიციის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა, კაპიტნის ჩინით. მან შეგვატყობინა, რომ ორი მანქანით ოპოზიციის მხარდამჭერები თბილისის ზღვაზე წავიდნენ, რათა მომხდარის შესახებ თენგიზ კიტოვანისთვის შეეტყობინებინათ. ვცდილობ ტელეფონით თბილისის ზღვას დავუკავშირდე, მაგრამ უშედეგოდ. შეიძლება ნომერი საერთოდ გამოთიშულიც იყო.

დაახლოებით 9 საათზე მივიღეთ შეტყობინება, რომ მთავრობის სახლთან მძიმედ დაიჭრა რომან გვენცაძე, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა. როგორც გვითხრეს, დაჭრილია მუცელში და ფეხებში და ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

შეგვატყობინეს, რომ რუსთაველის გამზირზე და ძნელაძის ქუჩაზე გამოჩნდნენ თენგიზ კიტოვანის გვარდიელები. მათ ორი ზარბაზანი ჩამოუტანიათ, რადგან დანარჩენი ტექნიკა მოუმზადებელი აღმოჩნდა და მათი საწრაფო შეკეთება დაუწყიათ. კიტოვანიც თბილისის ზღვაზე დარჩა.

– მაინც პირველად ვინ გაისროლა რუსთაველის გამზირზე?

– გთავაზობთ ამონარიდს რომან გვენცაძის ინტერვიუდან:

„როდესაც მდგომარეობა დაიძაბა ომის წინა დღეს, მე პირადად მივმართე სიგუას. სიგუა ითხოვდა, რომ თქვენს მიტინგზე გამოვალო. პრეზიდენტიც თანახმა იყო, მაგრამ მისი გარემოცვა უარზე იყო. არაფერს თხოულობდა სიგუა იმის გარდა, რომ გამოვალ მიტინგზე და სიმართლე ვთქვათო. სიგუას ვუთხარი, რომ დაიძაბებოდა ვითარება იქ რომ მოსულიყო, ჩაქოლავდნენ მას. ვთხოვე, რომ ხვალ მე, გვარამია და ნინუა ამოვალთ თბილისის ზღვაზე და პრეზიდენტს შეგახვედრებთ-მეთქი. იგი დამთანხმდა; გამოაცხადა, რომ ხვალ ხელისუფლების წარმომადგენლები ამოვლენ და დავიშალოთო. შემდეგ მეორე დღე გათენდა. რატომ არ მისვამთ კითხვას, თუ რატომ ატეხეს სროლა? ჩემი აზრი ასეთია, გვარდიელებმა იფიქრეს, რომ სროლით ჩვენ ამათ გავაქცევთო. სიგუას 7-8 კაციანი დაცვა ჰყავდა. მათ მიერ იქ სროლის და ომის დაწყება აბსურდი იყო და ომიც არ დაიწყებოდა. მე ეს ვიცი, დავითვალე და სიგუას დაცვაში 8 კაცი ჰყავდა. ხელისუფლებამ თვითონ დაიმხო თავი, თუ გინდათ, რომ სიმართლე ვთქვათ. სროლა რომ არ ამტყდარიყო, დამიჯერეთ, კიდევ გეუბნებით, სროლა რომ არ ამტყდარიყო, ხელისუფლება არ დაემხობოდა“.

როგორც კი ოდნავ ამოვისუნთქეთ და ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი მოვიდა სასტუმრო თბილისში, დავიწყეთ იმის გარჩევა, თუ რა მოხდა. რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ ცეცხლის გახსნა. თავიდან ყველა ამბობდა, რომ ეს გამსახურდიას მიერ გადადგმული უგუნური ნაბიჯი იყო. მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გამსახურდია იმ ღამეს მთავრობის სახლში საერთოდ არ ყოფილა. მოგვიანებით ისევ თავდაცვის მინისტრის და შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლების ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ ბრძანება თურმე „მდედრიონელი“ ქალებისგან გამოსულა. აი კიდევ ურთი ამონარიდი შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის რომან გვენცაძის ინტერვიუდან:

„ზვიად გამსახურდიას დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიყავი. მაგრამ დილარ ხაბულიანს თვალებში რაღაც შეასხეს და ამის გამო ის საავადმყოფოში დააწვინეს. ამიტომ მინისტრის მოვალეობას ვასრულებდი. შტაბი დღევანდელი პარლამენტის შენობაში გვქონდა პირველ სართულზე. ლელე არჩვაძე შემოვიდა მეგობრებთან ერთად და განგვიცხადა, რომ მოღალატეები ხართო. ვაჟა ადამიამ რუსთაველის გამზირთან გზა გადაკეტა და ზომებს რატომ არ იღებთო.

გავაგზავნე თანამშრომლები და მომიტანეს ამბავი, რომ იქ არავითარი გზა გადაკეტილი არ ყოფილა. ოპოზიცია და ხელისუფლების მომხრეები რომ დამეშორიშორებინა, პიკეტის მოწყობა განვიზრახე პარლამენტის წინ. ამ დროს მოედნისკენ ხელისუფლების მომხრეები ჩამოვიდნენ და ჰაერში სროლა დაიწყეს ოპოზიციის შესაშინებლად. ამას საპასუხო სროლაც მოჰყვა და რადგან შუაში ვიყავი, ორივე კიდურში დავიჭერი. მაშინ სასწაულმა გადამარჩინა“.

შტაბში ამ დროს იმყოფებოდნენ თავდაცვის მინისტრი ჯონი ფირცხალაიშვილი, თავად შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი რომან გვენცაძე, ეროვნული გვარდიის სარდალი ლოთი ქობალია. სამივე ადასტურებს, რომ ამ ქალბატონებმა მათ შეურაცხყოფა მიაყენეს და უბრძანეს, რომ სასწრაფო ზომები მიეღოთ. ასე დაიწყო ეს ტრაგედია.

– ბრძანეთ, რომ პრეზიდენტი ამ დროს მთავრობის სახლში არც კი იმყოფებოდა. სად იყო გამსახურდია და როგორი იყო მისი რეაქცია ამ რადიკალიზაციაზე?

– ჩვენ გვეგონა, რომ ცეცხლის გახსნის ბრძანება გამსახურდიას მიერ იყო გაცემული. მაგრამ მერე ყველამ, ფირცხალაიშვილმა, გვენცაძემ დაადასტურეს, რომ გამსახურდია იმ ღამეს ბუნკერში საერთოდ არ ყოფილა. 21-ში, გვიან ღამით, როცა მიტინგი დამთავრდა, ის სახლში წასულა. ასე რომ, ფაქტობრივად ქალებმა გასცეს ბრძანება, ლელე არჩვაძემ. ამ შტაბში მისი შევარდნის და შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ გამოვარდნენ ლოთი ქობალიას გვარდიელები და მათ ატეხეს სროლა.

მერე გავარჩიეთ, რა იყო ამ სროლის მიზანი – უნდოდათ ის ხალხი, ვინც რუსთაველის პროსპექტზე ღამეს მანქანებში ატარებდნენ, გაეყარათ იქიდან და ალბათ ახალი ბარიკადების მოწყობა სურდათ, მთავრობის სახლთან და პირველ სკოლასთან მიტინგი რომ არ ჩატარებულიყო.

მედიცინა

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

სისხლი

ჰემოგლობინის ასაწევად

1. 200 გრამი ნიგოზი; 2. 200 გრამი ქიშმიში; 3. 200 გრამი გარგარის ჩირი; 4. 200 გრამი თაფლი და 2 ცალი ლიმონი კანიანად.

გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. აურიეთ კარგად. მიიღეთ ჩაის კოვზით დღეში 3-ჯერ ჭამის წინ.



2. 1 ჩაის ჭიქა ბროწეულის წვენი; 1 ჩაის ჭიქა თაფლი; 1 ჩაის ჭიქა ლიმნის წვენი; 1 ჩაის ჭიქა ასკილის ნაყენი.

მიიღეთ სურვილის მიხედვით.

3. 100 გრამი ბროწეულის წვენი;

100 გრამი ლიმნის წვენი; 100 გრამი ვაშლის წვენი; 100 გრამი ჭარხლის წვენი; 100 გრამი სტაფილოს წვენი; 50 გრამი თაფლი.

ჰემოგლობინის ასაწევად კარგია: ალუბალი, შავი ქლიავი, ვაშლი „ანტონოვკა“, მაჟალოს ნაყენი, შავი მოცხარი, ქაცვი, ბროწეული, მოცვი, მარწყვი, შავი ყურძენი, ასკილი, ჭინჭარი.

პროთრომბინის დასაწევად

1. ზაფრანას ერთ ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, შეფუთეთ. რამდენიმე საათის შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ მთელი ღამის განმავლობაში. ასე გააკეთეთ 5 დღე.

2. 10 ცალი კომშის ფოთოლი და 10 ცალი ალუბლის ფოთოლი მოხარშეთ 2 ლიტრ წყალში. დააყენეთ ნახევარზე. მიიღეთ დღეში 3-ჯერ 100 გრამი ჭამის წინ.

3. ვენების გაგანიერების დროს 1 სუფრის კოვზ თხილის ხმელ ფოთლებს დაასხით 200 გრაძი მდუღარე წყალი. მიიღეთ ნახევარი ჭიქა დღეში 4-ჯერ.

4. ყოველ დილით უზმოზე მიიღეთ 1 ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი და 1 ჩაის კოვზი თაფლი.

5. ზაფხულში მიირთვით ლეღვი. ზამთარში კი ლეღვის ჩირს დაასხით მდუღარე და წყლის მაგივრად მიირთვით.

6. ლიმონი დაჭერით რგოლებად, ფენაფენა მოაყარეთ შაქარი და მიირთვით სურვილის მიხედვით.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა უნიკალური მასალები კუნძულ ტექსელზე გამოფინა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ნიდერლანდების სამეფოში, კუნძულ ტექსელზე გამართულ ქართული კულტურის დღეებში და უნიკალური მასალები გამოფინა.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი ექსპოზიცია, რომელიც კუნძულ ტექსელის ადმინისტრაციული ცენტრის ქალაქ დენბორგის მერიაში გაიმართა. წარმოდგენილმა ექსპოზიციამ საზოგადოებას გააცნო XVIII-XIX საუკუნეების ქართული საისტორიო თუ გეოგრაფიული კრებულების ცნობები ნიდერლანდების სამეფოს შესახებ. დამთვალიერებლის წინაშე წარდგენილი იყო უნიკალური მოქვის სახარების მულაჟიც.

გამოფენა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ გახსნა. დამსწრე საზოგადოებას ექსპონატები გააცნო და მათ მნიშვნელობაზე ესაუბრა ცენტრის საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი ნესტან ბაგაური. იმავე დღეს ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი მასპინძლის, ნიდერლანდების სამეფოში ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის თიკა სვანიძე-ვენკოს წიგნის „ქალი სხვა სამყაროდან“ ინგლისურენოვანი გამოფენის პრეზენტაციაც შედგა.

გამოფენის და წიგნის წარდგენას ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი ნიდერლანდებში დავით სოლომონია, საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით მახიტაშვილი და ბელგიასა და ნიდერლანდებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი დოსითეოსი (ბოგვერაძე).

ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით ზაზა აბაშიძემ ნიდერლანდებში ქართული კულტურის ცენტრს ხელნაწერების ფოტოალბომი საჩუქრად გადასცა. ტექსელზე გამართული ქართული დღეების ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები ირლანდიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და საბერძნეთიდან.

პროექტი განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნიდერლანდებში ქართული კულტურის ცენტრის, აფხაზეთის მთავრობის და აფხაზეთის სულიერების ცენტრის მხარდაჭერით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რა შედეგით დამთავრდა ზელენსკის ამერიკაში ვიზიტი



უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი ვაშინგტონში ჩავიდა. ის პრეზიდენტ ბაიდენს შეხვდა. ვიზიტი ფრიად თავისებურ ფონზე შედგა. აშშ-ში გამწვავდა დაპირისპირება რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის. ამას დაერთო რუსეთ-უკრაინის ფრონტზე და უშუალოდ უკრაინულ ელიტაში გართულებული მდგომარეობაც. პუტინი შეეცადა შექმნილი სიტუაცია გამოეყენებინა და უკრაინაში პოზიციები გაეძლიერებინა.

• • •

მდგომარეობა რუსეთ-უკრაინის ფრონტზე

მოსკოვში ყურადღებით ადევნებდნენ თვალს აშშ-ში განვითარებულ მოვლენებს. არჩევნების მოახლოებასთან ერთად დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის ურთიერთობები მკვეთრად გამწვავდა. რუსებმა ამით ისარგებლეს და მთელს ფრონტზე უკრაინაში შეტევაზე გადავიდნენ.

ოკუპანტები განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ ავდეევკის, მარინკის და ბახმუტის მიდამოებში. მხოლოდ გუშინ ავდეევკის მახლობლად რუსებმა 18 შეტევა განახორციელეს, მარინკაზე – 14, ბახმუტის მახლობლად მდებარე სოფლებზე კი – 16. უკრაინულმა არმიამ ყველა შეტევა მოიგერია. პარალელურად გაძლიერდა უკრაინული ქალაქების დაბომბვა. ოკუპანტებმა კვლავ დაარტყეს კიევს, ხარკოვს, ოდესას, ავდეევკას და ხერსონს.

რუსები კვლავ ცდილობდნენ, რომ ავდეევკა ე.წ. კოტიოლში მოქციათ. ეს ამჯერადაც მარცხით დამთავრდა. რაც შეეხება ზაპოროჟიეს ოლქს, აქ ოკუპანტები კონტრშეტევის განხორციელებას შეეცადნენ. მსგავსი ვითარება შეიქმნა ხერსონსჩინაზეც. სოფელ კრინკისთან რუსებმა შეტევაზე გადასვლა სცადეს. მთელს ფრონტზე ვითარება გართულდა.

• • •

მდგომარეობა უკრაინაში

ციხე შიგნიდან ტყდებაო, ნათქვამია. რუსეთმაც სცადა უკრაინის ელიტაში შექმნილი უთანხმოებებით ესარგებლა. საუბარია დაპირისპირებაზე ზელენსკისა და უკრაინული არმიის სარდალ, გენერალ ზალუჟნის შორის. ამას თავად უკრაინულ არმიაში არსებული დაპირისპირებაც დაემატა. ზალუჟნის წინააღმდეგ გამოვიდა სახმელეთო ჯარების სარდალი, გენერალი სირსკი. მოსკოვმა აღნიშნული სურათი გააბუქა. რუსები შეეცადნენ, სიტუაცია შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიეყვანათ. ამაში მათ მხარში ედგა ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელი და რუსეთის აგენტი ერმაკი.

– ერმაკი რუსეთის გავლენის აგენტია ფსევდონიმით კოზირი, – ამტკიცებს სუკის ექსპრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეცი.

ამრიგად, ფრონტებზე გართულებულ მდგომარეობას თავად უკრაინაში არსებული დაპირისპირებაც დაემატა. მოსკოვი კი პროვოკაციას პროვოკაციაზე ახორციელებს. ვრცელდება ყალბი ახალი ამბები, ჭორები. თავად უკრაინაში გამოჩნდნენ ე.წ. ექსპერტები, რომლებიც ხმამაღლა აცხადებენ: ვიღუპებით!

ამ ფონზე რუსეთი მართლაც ძალიან გააქტიურდა.

• • •

მდგომარეობა აშშ-ში

უშუალოდ აშშ-ში კი შემდეგი ვითარება შეიქმნა. პრეზიდენტ ბაიდენის რეიტინგი დაეცა. პირველად უკანასკნელი წლების მანძილზე, ტრამპმა მას გადაუსწრო. ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ ტრამპისტულ ფრთას თავად რესპუბლიკელებშიც კი არა აქვს უმრალესობა. თანახმად გამოკითხვებისა, ტრამპი არჩევნებში მხოლოდ ბაიდენს ამარცხებს, დემოკრატიული პარტიის ნებისმიერ კანდიდატთან კი ის აგებს, სულ ერთია, იქნება ეს ვიცეპრეზიდენტი ქამალა ჰარისი თუ ვინმე სხვა.

რაც შეეხება ბაიდენსა და ტრამპს, მათ შორის დაპირისპირება მწვავეა. ტრამპის წინააღმდეგ უკვე არა ერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. 1 იანვრიდან ტრამპს სასამართლო პროცესების მთელი კასკადი ელის. მას ბრალი ედება უმძიმეს დანაშაულებში: აჯანყებისაკენ მოწოდება და ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამხობის მცდელობა, არჩევნების გაყალბების მცდელობა, ფინანსური მაქინაციები, გადასახადებისათვის თავის არიდება, რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირი და სექსუალური აღვირახსნილობა.

დონალდი თავს აქტიურად იცავს. მისმა მეგობრებმა ბაიდენის ვაჟს დანაშაულები გამოუქექეს. ტრამპისტები ცდილობენ, რომ ყოველივე გაბერონ და ბაიდენისადმი იმპიჩმენტის საკითხი დასვან.

ბაიდენმა ისრაელის წინააღმდეგ მკვეთრი განცხადება გააკეთა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა მკაცრად გააკრიტიკა ისრაელი. მიზეზი იყო ღაზას მასობრივი ბომბარდირება. – თუ ასე გაგრძელდა, ისრაელი საერთაშორისო მხარდაჭერას დაკარგავს! – თქვა ბაიდენმა.

სოფიაში საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლის დემონტაჟი დაიწყო

ბულგარეთის დედაქალაქში საბჭოთა ჯარისკაცის მონუმენტის დემონტაჟი დაიწყო. ძეგლი სამი კომპონენტისგან შედგებოდა: ჯარისკაცი, ბავშვიანი დედა და მუშა.

– ძეგლი ისეთ ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ ქალაქს საფრთხეს უქმნიდა, – აცხადებს სოფიის მერია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სასამართლომ ქალს ფასტფუდ-რესტორანში მუშაობა მიუსაჯა

აშშ-ში ქალი სასამართლოს წინაშე კაფეს თანამშრომელზე თავდასხმის გამო წარდგა და მის ადგილზე აღმოჩნდა. მიმდინარე წლის სექტემბერში 39 წლის როზმარი ჰეინის ფასტფუდ-რესტორნების ქსელის ერთ-ერთ დაწესებულებაში მივიდა და სახლში წასაღებად ბურიტო-ბოული შეუკვეთა. თუმცა შედეგმა ის არ დააკმაყოფილა და კერძის გადაკეთება მოითხოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალი უკან დაბრუნდა, რესტორნის მენეჯერ ემილი რასელს სკანდალი მოუწყო, ჯერ უღრიალა, შემდეგ კი კონტეინერი ცხელი კერძით სახეში ესროლა. აღნიშნული ინციდენტი ვიდეოზე იქნა გადაღებული და მალე ის სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმის გამო რასელმა დაკავებული თანამდებობა დატოვა და სასამართლოს მიმართა. ჰეინმა დანაშაული აღიარა და მოიბოდიშა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ის კერძის ხარისხმა გააღიზიანა, ვინაიდან, მისი მტკიცებით, ის ისე არ გამოიყურებოდა, როგორიც უნდა ყოფილიყო. ამ ყოველივედან გამომდინარე, მოსამართლე ტიმოთი გილიგანმა ჰეინს 180 დღით პატიმრობა მიუსაჯა, მათ შორის, 90 დღე პირობითი. ამავე დროს მან შესთავაზა პატიმრობის ვადის 60 დღით შემცირება იმ შემთხვევაში, თუ ის ორი თვის ვადით სწრაფი კვების რესტორანში იმუშავებს. ქალმა ამ შეთავაზებაზე თანხმობა განაცხადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

შავი ლომი სქარლეთსა და დებიუტანტებით ეთამაშება

15 დეკემბერს შავი ლომი ჩელენჯ თასზე მეორე შეხვედრას გამართავს და ევროპის უძლიერეს საკლუბო ტურნირში უელსურ სქარლეთს ეთამაშება და დებიუტი კიდევ ხუთ ქართველ მორაგბეს ექნება.

შავმა ლომმა ჩელენჯ თასის სადებიუტო მატჩში კლუბ გლოსთერს „მიხეილ მესხზე“ წვიმიან, ინგლისურ ამინდში დიდი წინააღმდეგობა გაუწია და ახალ ტურნირზე პირველი ქულა მოიპოვა. თავის მხრივ სქარლეთსი საფრანგეთში კასტრს ეწვია და 16:34 დამარცხდა.

შავი ლომის სასტარტო შემადგენლობაში ექვსი ცვლილებაა. მათი ნაწილი ტრავმებითაა განპირობებული.

შავი ლომის შემადგენლობა ასეთი იქნება:

ხაზი: მირიან მოდებაძე, აკაკი ტაბუცაძე, თორნიკე კახოიძე, მერაბ შარიქაძე, ოთარ ლაშხი, ლუკა მატკავა, თენგიზ პერანიძე;

შერკინება: დათო აბდუშელიშვილი, ბექა მამრიკიშვილი, გიორგი ჩხარტიშვილი, ნოდარ ჭეიშვილი, გრიგორ ქერდიყოშვილი, გიორგი კერვალიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, ლუკა ივანიშვილი;

მარქაფა: გელა მახარაშვილი, ალიკო შამილიშვილი, ბაჩუკი ჭუმბაძე, დემურ ეფრემიძე, საბა კურტანიძე; გიორგი მარგალიტაძე, გიორგი ჯობავა, ლუკა ცირეკიძე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

სხვენში მიტოვებული საბავშვო წიგნი 55 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა

დიდ ბრიტანეთში აუქციონზე ჯოან როულინგის წიგნის „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“ პირველი გამოცემის ეგზემპლარი, რომელიც 26 წელი სახლის სხვენში იმტვერებოდა, აუქციონზე გაიყიდა.



წიგნი აუქციონზე 11 დეკემბერს 55,1 ათას ფუნტ სტერლინგად დერბიშირის საგრაფოში გაიყიდა. მრავალი წლის განმავლობაში ის საგრაფოს მკვიდრი 58 წლის ქალის სახლში ინახებოდა და რომელიც მან 1997 წელს ავტომობილით ოჯახთან ერთად მოგზაურობის დროს შემთხვევით შეიძინა. მაღაზიაში წიგნი ფასდაკლების კალათაში იდო და მისი ფასი სულ რაღაც 10 ფუნტი იყო.

– წიგნი ჰარი პოტერზე იმ დროს ვიყიდე, რომლის შესახებაც ბევრს არაფერი სმენოდა. მანქანით შოტლანდიის მაღალმთიანეთში ვმოგზაურობდით. იქ შეგვხვდა კაფე წიგნის მაღაზიაში, – იხსენებს ქალი.

მან ასევე აღნიშნა, რომ გამყიდველთან ვაჭრობის შემდეგ წიგნის 8 ფუნტად ყიდვა მოახერხა. მოგზაურობის დროს ქალი ზღაპრების წიგნს შვილეს უკითხავდა. მოგვიანებით წიგნი სხვენში შეინახეს, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა. აღსანიშნავია, რომ წიგნი შესანიშნავადაა შემონახული.

აუქციონის სახლის წიგნების სპეციალისტის თქმით, ის მაგარყდიან, მეტად იშვიათ გამოცემას წარმოადგენს. სულ ხუთასი წიგნი იქნა დაბეჭდილი, აქედან 300 ბიბლიოთეკებში დაიგზავნა, ხოლო 200 გაყიდვაში იქნა ჩაშვებული. ამ დროისთვის სპეციალისტებისთვის ამ გამოცემის მხოლოდ 19 წიგნის არსებობაა ცნობილი.

ქალმა მამაკაცი გააუპატიურა და გაჩუმების სანაცვლოდ 10 მილიონი მოსთხოვა

ინდოეთში ბოროტმოქმედებმა ვიდეოზე გადაიღეს პორნოვიდეო მამაკაცის მონაწილეობით და მისი გაუვრცელებლობის სანაცვლოდ, 10 მილიონი რუპია მოითხოვეს.

დაზარალებული კერძო სკოლის მფლობელია. დეკემბრის დასაწყისში ის რაჯასტხანის შტატის ქალაქ ჯოდხპურში ქორწილზე დასასწრებად ჩავიდა. იქ მან გაიცნო ქალი, სახელად ანიტა ბიშნოი და მისი მიწვევით სახლში ესტუმრა. ეს კი მისთვის დაგებული ხაფანგი აღმოჩნდა: ქალი და მისი თანამზრახველი მამაკაცს თავს დაესხნენ და სცემეს.

ამის შემდეგ მათ მამაკაცი გააშიშვლეს და ბიშნოიმ მასთან სქესობრივი შინაარსის მოქმედება განახორციელა. მთელი ეს პროცესი ვიდეოზე იქნა გადაღებული. კერძოდ კი, ქალმა მამაკაცი აიძულა, კამერის წინ ეთქვა, რომ მას ის უყვარდა.

ამ ყოველივეს შემდეგ ბოროტმოქმედებმა მათი მსხვერპლი მანქანაში ჩასვეს და სხვა რაიონში წაიყვანეს. მათ მამაკაცს 10 მილიონი რუპია მოსთხოვეს და დაემუქრნენ, რომ უარის შემთხვევაში, გადაღებულ ვიდეოს ინტერნეტში განათავსებდნენ. ამის შემდეგ მამაკაცი გაუშვეს.

პოლიციას განცხადებით დაზარალებული მამაკაცის ძმამ მიმართა. სამართალდამცავებმა ბიშნოი და მის თანამზრახველი მალევე დააპატიმრა. მათ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის დროს პოლიციამ ნარკოტიკები აღმოაჩინა, საქმეზე გამოძიება გრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი, პრაქტიკა 50-წლიანი. „იადიგარ დაუდი“ იყო მეფეთ-მეფის შვილი, მეფე ექიმი, მეცნიერი, მკვლევარი დავით ბაგრატიონი (ნახეთ სოციალურ ქსელში), აღიარებდა 4 სახის მედიცინას. მე ავირჩიე ხალხური და მაგიური მედიცინა, წიგნი „იადიგარ დაუდი“ და მასში მოყვანილი მაგიური მკურნალობა შემაყვარა დედამ, ალა მერებაშვილმა, მას კი თავისი მაგისგან დავით მერებაშვილისგან გადმოეცა, რომელიც XVIII საუკუნეში ძლიერ ექიმად ითვლებოდა თიანეთის რაიონში. რასაც გთავაზობთ, ეს მაგიური მედიცინაა, უწამლოდ. სიტყვა „მაგია“ ნიშნავს სასწაულს, საოცრებას. ამ საოცრებას ვახდენ ფოტოსურათით: აგრესია, აკვიატება, დეპრესია, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება, ბავშვებში სასქესო ორგანოს ზრდის შეჩერება, მოზარდებში დაუმორჩილებლობა, დაუდგენელი დიაგნოზის დაავადებები, რაც გამოწვეულია შავი ძალებით (მაგ. სექსუალური დარღვევები, უშვილობა), მოძალადის დანყნარება ან ჩამოცილება, ურთიერთობის პრობლემები და კიდევ ბევრი რამ. მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №57. მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, ოფისი 777. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება სატელეფონო საუბრის შემდეგ, ნებისმიერ დღეს.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვანკისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ქუთაისმა მოგების გემო გაიხსენა

ქუთაისი-თსუ 83:78

(22:22; 31:19; 13:21; 17:16)

ქუთაისში სუპერლიგის მე-4 ტურის გადადებული მატჩი გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს საჩემპიონო ამბიციის მქონე გუნდები – ქუთაისი და თსუ შეხვდნენ. მატჩი 4 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ თსუ ფიბა ევროპის თასზე ასპარეზობის გამო დროში ვერ ჩაეტია და სუპერლიგის ხელმძღვანელობამ თამაში გადაიტანა.

მიუხედავად ქუთაისელთა ბოლო 3 მატჩში დამარცხებისა, კოტე ტუღუშის გაწვრთნილი იმერული კლუბი მეტოქეზე ნაკლებ ფავორიტად არ მიიჩნეოდა. ქუთაისელებს შემადგენლობიდან გამომდინარე დიდი პოტენციალი აქვთ და დაკარგული ქულებით ჩემპიონატის ლიდერ მეტოქესთან დაგეგმილი გამარჯვებაც სისრულეში მოიყვანეს. ქუთაისმა გაიმარჯვა, ბოლო მატჩებში გაუარესებული სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა და საჩემპიონო ამბიციის ქონაც დაადასტურა.

თავის მხრივ, თსუ-მ ამ სეზონში მეორედ წააგო ქუთაისთან. პირველი შერკინება დუდუ დადიანის მემორიალის ნახევარფინალში. ქუთაისელებმა ლექსო ლაფანაშვილის განწვრთნილი უნივერსიტეტელები ამჯერადაც დაამარცხეს – 83:78.

მატჩში თანაბრად დაიწყო. სანამ ქუთაისი საკუთარ თამაშს იპოვიდა, თსუ დაწინაურდა. გიორგი ტურძილაძე მასპინძელთა საჯარიმოში აქტიურობდა, ნახევარკაუჭებს კარგად იყენებდა, გიორგი ცინცაძეც შედეგიანად ირჯებოდა და პერიოდის მიწურულს თსუ 4 ქულით იგებდა, მაგრამ ბოლო წუთზე აკაკი დვალიშვილის საჯარიმოებითა და მიხეილ ბერიშვილის 2-ქულიანით რიონისპირელებმა ანგარიში გაათანაბრეს და პერიოდიც 22:22 დასრულდა.

მეორე ათწუთეულში ქუთაისმა თამაში დაალაგა. დაცვა გაამაგრა, ფარქვეშ პოზიციები გაიმყარა, რაც დვალიშვილისა და გიორგი კორსანტიას დიდი დამსახურება იყო. საიმედოდ თამაშობდა მასპინძელთა უკანა ხაზიც. ბურთის გათამაშებასთან და მაღლების სამწამიანში მომარაგებასთან ერთად, უკანახაზელები ბურთებსაც აგდებდნენ და ტუღუშის გუნდმა გაქცევა მოაწყო. დიდ შესვენებამდე ქუთაისელებმა ლიდერობა 12 ქულამდე გაზარდეს და თსუ მარცხის წინაშე დადგა.

მესამე პერიოდში თსუ-მ მოახერხა თამაშში დაბრუნება, რაც სტაბილური დაცვის შედეგი იყო. უნივერსიტეტელებმა ჩამორჩენა 4 ქულამდე შეკვეცეს და ქუთაისს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა. ბოლო პერიოდი ქულა-ქულაში წავიდა. ქუთაისი მცირე ლიდერობას კბილებით ინარჩუნებდა და სხვაობა მთელი 5-6 წუთის მანძილზე 2-4 ქულას არ სცდებოდა.

ასე მივიდა თამაში 38-ე წუთამდე და როცა დასრულებამდე 2 წუთი რჩებოდა, კორსანტიამ სამქულიანი ჩააგდო და გუნდი 5 ქულით დააწინაურა, რასაც მეტოქის შეტევის მოგერიება და დვალიშვილის ზუსტი ორქულიანი მოჰყვა და საქმეც მოთავდა – მასპინძლები 7 ქულით დაწინაურდნენ, თამაშის დასრულებამდე კი წუთნახევარი რჩებოდა.

ასეთ უპირატესობას რომ შინ მოთამაშე კოტე ტუღუშის გაწვრთნილი გუნდი ხელიდან არ გაუშვებდა, ცხადი იყო და ასეც მოხდა. იმერულმა კლუბმა საქმე გამარჯვებამდე მარცხილებების გაუშუმიყვანა და ლიდერის ძლევით მიჯრით განცდილი გასული 3 მარცხი ერთიანად გადაფარა.

ქუთაისში გამორჩეული მექუღე, ან ლიდერი არ ყოფილა. 6 კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ზღვარს. ბომბარდირი 14 ქულით კორსანტია გახდა, რომელმაც 7 მოხსნა და 4 პასიც მიითვალა; 13 ქულა და 6 მოხსნა დეტრეკ ბრანინგის ანგარიშზეა; თსუ-ში 23 ქულითა და 7 მოხსნით საუკეთესო იყო ალექსანდრე ფევაძე; 17 ქულა გიორგი ცინცაძემ მიითვალა.

სატუჩნიოო ცხრილი:

1.დელტა	9	7	2788-671	16
2.ქუთაისი	9	5	4838-806	14
3.გაუ	8	5	3723-704	13
4.თსუ	7	5	2608-583	12
5.კავკასია	8	4	4682-704	12
6.ბათუმი	8	4	4659-659	12
7.რაში	8	3	5709-734	11
8.რუსთავი	8	3	5723-753	11
9.ორბი	8	3	5709-741	11
10.ივერიონი	7	3	4574-575	10
11.მარგვეთი	8	2	6703-773	10

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ჯგუფური ეტაპი დასრულდა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დასრულდა, რომელმაც ბოლო ორი მერვედფინალისტი გამოავლინა – პსჟ და პორტუ.

თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ეს იყო ბოლო ჯგუფური ეტაპი ჩემპიონთა ლიგაში. მომავალი წლიდან ფორმატი იცვლება. ამ საკითხზე სხვა დროსაც ბევრი საუბარი მოგვიწევს, ახლა კი ბოლო ტურს დავუბრუნდეთ.

ე ჯგუფი

აქ მხოლოდ პირველი ადგილის ბედი ირკვეოდა. მადრიდის ატლეტიკოს ლაციოსთან ქულაც ჰყოფნიდა, მაგრამ 2:0 მოუგო და დიეგო სიმეონეს გუნდი ფლეი ოფში პირველი ადგილით გავიდა, ლაციო კი – მეორეზე.

ევროპა ლიგის საგზური ნიდერლანდური ფეინოორდის იყო, რომელიც გლაზგოში ჩავიდა და იქაურ სელტიკთან 1:2 დამარცხდა.

სელტიკმა, როგორც იტყვიან კარი გაიჯახუნა, რადგან მაინც ბოლო ადგილზე გავიდა.

საბოლოო ცხრილი:

1.ატლეტიკო	6	4	2	0	17-6	14
2.ლაციო	6	3	1	2	7-7	10
3.ფეიენოორდი	6	2	0	4	9-10	6
4.სელტიკი	6	1	1	4	5-15	4

ფ ჯგუფი

აქ ყველაზე საინტერესო ამბები დატრიალდა და მოვლენები ერთმანეთის მიყოლებით იცვლებოდა. ჯგუფიდან დორტმუნდი უკვე გასული იყო, დანარჩენი სამი გუნდი კი, მეორე ადგილისთვის იბრძოდა.

დორტმუნდი პსჟ-ს მასპინძლობდა, რომელსაც მოგება სჭირდებოდა, რადგან საპასუხო მატჩზეც იყო დამოკიდებული. მეორე ტაიმის სტარტზე დორტმუნდი კარიმ ადეიემის გოლით დაწინაურდა და პარიზელები ბევრად უფრო რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. მალევე ზაირ-ემერიმ საპასუხო გოლი შეაგდო და, საბოლოოდ, გუნდებმა ქულები გაიყვეს – 1:1.

პარალელურად, ნიუკასლი მილანს 59-ე წუთამდე ამარცხებდა და ჯგუფიდან გადიოდნენ. თუმცა, იტალიელებმა ორი გოლით უპასუხეს.

საბოლოოდ, პსჟ-მ და მილანი (8-8) ერთნაირი ქულები დააგროვეს, მაგრამ ფლეი ოფში ფრანგული გუნდი გავიდა, რადგან მეტოქეს ურთიერთშეხვედრებში აჯობა. აღსანიშნავია, მილანის ნაცვლად ნიუკასლს რომ მოეგო, იმავე ურთიერთშეხვედრებით ფლეი ოფის საგზური ინგლისელებს დარჩებოდათ.

საბოლოო ცხრილი:

1.დორტმუნდი	6	3	2	1	7-4	11
2.პსჟ	6	2	2	2	9-8	8
3.მილანი	6	2	2	2	5-8	8
4.ნიუკასლი	6	1	2	3	6-7	5

ჯ ჯგუფი

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეული იყო და მატჩებს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, ორივე მატჩი საკმაოდ დრამატულად წარიმართა.

სიტიმ სტუმრად ცრვენა ზვეზდას 3:2 აჯობა და ჯგუფური ეტაპი ექვს მატჩში ექვსი მოგებით დაასრულა. ტურნირის ისტორიაში ეს მე-13 შემთხვევაა, როცა გუნდმა მაქსიმალური შედეგის ჩვენება მოახერხა. მანჩესტერ სიტი გახდა მეცხრე კლუბი, რომელმაც ეს მიღწევა გაიმეორა.

ლაიფციგმა შინ იანგ ბოიზი 2:1 დაამარცხა. გოლები 5-წუთიან მონაკვეთში გავიდა. გერმანელთაგან შეშკომ და ფორსბერგმა გაიტანეს, მათ შუაში კი კოლიმ შეაგდო.

საბოლოო ცხრილი:

1.სიტი	6	6	0	0	18-7	18
2.ლაიპციგი	6	4	0	2	13-10	12
3.იანგ ბოიზი	6	1	1	4	7-13	4
4.ცრ.ზვეზდა	6	0	1	5	7-15	1

ჰ ჯგუფი

ბარსელონამ მარცხი განიცადა ანტვერპენთან, რომელიც ამ ტურამდე უქულოდ იყო. ბელგიელები მეორე წუთზე დაწინაურდნენ, რასაც ტაიმის მიწურულს ესპანელებმა უპასუხეს. შესვენების შემდეგ მასპინძლები ისევ წინ გავიდნენ, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მარკ გუიმ ანგარიში მეორედ გაათანაბრა. თითქოს, მატჩიც ასე უნდა მორჩენილიყო, მაგრამ ანტვერპენმა წამებში გაუტანა და პირველი სამი ქულაც აიღო.

მეორე ადგილის ბედი პორტუგალიაში გაირკვა, სადაც პორტუმ „ქართველების“ შახტარი 5:3 დაამარცხა. დონეცკელთა რიგებში გიორგი გოჩოლეიშვილმა შეუცვლელად ითამაშა, ხოლო ირაკლი აზაროვი თადარიგში დარჩა. შახტარს მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია და ასპარეზობას ევროპა ლიგაზე გააგრძელებს.

საბოლოო ცხრილი:

1.ბარსელონა	6	4	0	2	12-6	12
2.პორტუ	6	4	0	2	15-8	12
3.შახტარი	6	3	0	3	10-12	9
4.ანტვერპენი	6	1	0	5	6-17	3

შეჯიბრები

13 დეკემბერი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ლაიფციგი-იანგ ბოიზი	2:1
ცრ. ზვეზდა-სიტი	2:3
ანტვერპენი-ბარსელონა	3:2
ატლეტიკო-ლაციო	2:0
დორტმუნდი-პსჟ	1:1
ნიუკასლი-მილანი	1:2
პორტუ-შახტარი	5:3
სელტიკი-ფეიენოორდი	2:1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

კარდიფი-ბირმინგემი	0:1
ქოვენთრი-საუთჰემპტონი	1:1
ქპრ-პლიმუთი	0:0
ლესტერი-მილუოლი	3:2
ნორვიჩი-უენსდი	3:1
მიდლსბრო-ჰალი	1:2

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

კახა ცხადაძე: „აზერბაიჯანის ნაკრებიდან დამირეკეს“

საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ კახა ცხადაძეს აზერბაიჯანულმა მედიამ ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ჩვენებურმა არ დამალა, რომ აზერბაიჯანის ნაკრებიდან დაუკავშირდნენ.

– შენი თანამემამულე, ნეფთჩის ყოფილი მცველი ვალერი აბრამიძე მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვაკანტურ თანამდებობას შესანიშნავად მოერგები.

– ჩემთვის დიდი პატივია, თუ ვინმე ფიქრობს, რომ შემიძლია აზერბაიჯანის ნაკრების ლიდერობა. ვფიქრობ, ასე იქნება ნებისმიერი მწვრთნელისთვის.

– აზერბაიჯანის ნაკრებში მუშაობა გსურთ?

– აზერბაიჯანიდან ამ დღეებში დამირეკეს. ვერ გეტყვით, ვინ დარეკა, მაგრამ საკმაოდ ცნობილი ადამიანი იყო. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ საფეხბურთო მოედანზე მომუშავე ფუნქციონერი იყო. დაისვა კითხვა – მზად ვარ თუ არა, დავთანხმდე აზერბაიჯანის ნაკრებში მუშაობას, თუ ასეთი შეთავაზება იქნება. ჩემი პასუხი გახლდათ, რომ ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია აზერბაიჯანში ჩემი გამოცდილებისა და ამ ქვეყანასთან კარგი ურთიერთობების გათვალისწინებით. ბევრი წარმატებული სეზონი გავატარე და ვთქვი, რომ აზერბაიჯანში სიამოვნებით ვიმუშავებდი.

– უცხოელი სპეციალისტიც რომ იყოს, აუცილებლად საჭირო იქნება ჩვენი ფეხბურთის და მენტალიტეტის მცოდნე ადამიანი. თვლით თუ არა თავს ამ ადამიანთა რიცხვში?

– აზერბაიჯანში რვა წელი ვიმუშავე, აქედან ექვსი – ერთ გუნდში, გავხდი ქვეყნის ჩემპიონი და კლუბთან ერთად პრიზები არაერთხელ მოვიგე. ეს ასევე ეხება ყველა პოსტსაბჭოთა სპეციალისტს, რადგან ჩვენ ბევრი საერთო გვქონდა. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. ჩემთვის ძალიან ადვილი იყო აზერბაიჯანში მუშაობა, არა მხოლოდ როგორც მეზობელი ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანისთვის, არამედ როგორც კავკასიელისთვის. მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან და იმავე ახალგაზრდა ბიჭებთან საერთო ენის გამონახვა ადვილი იყო.

– რა იცით აზერბაიჯანის ნაკრების ამჟამინდელი თაობის შესახებ, რომელსაც ბევრი მიიჩნევს დამოუკიდებლობის შემდეგ თითქმის უძლიერესად?

– უნდა გაგრძელდეს ახალი კადრების მოძიება. თუ მათ ენდობით, ისინი შეეცდებიან კიდევ უფრო გამოიჩინონ თავი და გაიზარდონ. თუ ახალგაზრდა ფეხბურთელს შანსი არ მიეცემა, ყოველთვის მეორე რიგში იქნება. აზერბაიჯანში არის თაობა, რომელსაც შეუძლია, მინიმუმ, თავი ერთა ლიგაზე გამოიჩინოს.

– ეს ის გუნდია, რომელმაც ცოტა ხნის წინ საკუთარ მოედანზე შვედეთი (3:0) დაამარცხა.

– ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩში ბარსელონა ხირონასთან შინ 2:4 დამარცხდა. კარგი ფუნქციური მდგომარეობა და სათანადო თამაში ყოველთვის საშუალებას მოგცემთ, უფრო ძლიერ გუნდებს წინააღმდეგობა გაუწიოთ. კარგია, როცა სიაში გყავს სუპერკლასის ფეხბურთელები. თუ ისინი არ არიან, მაშინ მნიშვნელოვანია თამაშის და, რა თქმა უნდა, ფუნქციური მდგომარეობის დაყენება. ფეხბურთელს მოედანზე დაკისრებული დავალების შესრულება უნდა შეეძლოს. კარგი თამაში ყველასთან შეიძლება. აზერბაიჯანმა შვედეთთან შეხვედრაში აჩვენა, რომ ასეთ გუნდებთან თამაში და გამარჯვება შეუძლია. ეს ნიშნავს, რომ სტაბილურობაზე უნდა იმუშაოთ.

– აზერბაიჯანიდან წასვლის შემდეგ თქვენი სახელი ხშირად ყლერდა სხვადასხვა კლუბში. ადრე იყო ნეფთჩი, არც ისე დიდი ხნის წინ ქიაფაზი. მოლაპარაკება რატომ შეჩერდა?

– უკვე გითხარით, რომ აზერბაიჯანში რვა წელი ვიმუშავე. ბუნებრივია, შესაბამისი დონის შეთავაზება თუ იქნება, მზად ვარ კიდევ ვიმუშაო. თუმცა, კლუბს სერიოზული ამბიციები უნდა ჰქონდეს. თუ არის ამბიციები, კარგი პირობები უნდა იყოს. არა მარტო მწვრთნელებისთვის, არამედ, ზოგადად, კლუბისთვის. ვიმეორებ, ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა აზერბაიჯანში დაბრუნება.

ჩემი კარიერის აზერბაიჯანულ ეტაპს ყოველთვის სამაგალითოდ ვიყენებ. ექვსი წელი ინტერში ძალიან კარგი იყო. გარდა შიდა გამარჯვებებისა, ჩვენ მოვიგეთ თანამეგობრობის თასი. ამის შემდეგ მიგვიღო ქვეყნის პრეზიდენტმა. ტურნირი ჩვენთვის ძალიან წარმატებული გამოდგა, 16 გოლი გავიტანეთ ისე, რომ არც ერთი გოლი არ გაგვიშვია. აზერბაიჯანთან ბევრი დადებითი მოგონება მაკავშირებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოოიდი ბ



შვეულად: 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. ოსმალეთის იმპერიის მმართველთა ტიტული; 4. ორი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირი; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. მსხვილი სამრეწველო-სააქციო გაერთიანება; 12. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 14. ტბა უნგრეთში; 16. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 17. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 19. პოლონეთის პრეზიდენტი; 20. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი.

თარაზულად: 5. უბანი თბილისში; 6. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. წავისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 10. ღვინის რაოდენობის საზომი ძველებური ერთეული, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 11. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 13. გამკილავი შინაარსის მქონე სახელდახელოდ თქმული ლექსი ქართულ ფოლკლორში; 15. პამიდვრით, ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის წვნიანი კერძი; 18. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 21. რაიონული ცენტრი გურიაში; 22. საქართველოში გავრცელებული სწრაფად მზარდი გუტაპერჩის შემცველი ჩინური ხე; 23. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პუნსონი; 2. შუკა; 5. ფაცხა; 4. იზმირი; 6. ხამანწკა; 9. საფარა; 13. დოლმენი; 14. ფლუგერი; 15. ნეპერი; 17. პემზა; 18. სქური; 20. წათე.

თარაზულად: 1. პაშტეტი; 5. ფაცხა; 7. მალხაზი; 8. ნეკრესი; 10. შხამი; 11. დონგი; 12. ჩაფარი; 16. კლიჩკო; 17. პრესა; 19. ლემი; 21. მეტეხი; 22. მზიური; 23. ქილიკი; 24. ლინატე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლეგრანი; 2. სეგედი; 3. ლაზარეთი; 4. რიტორიკა; 7. გარპაგონი; 8. კვარიათი; 12. აბრეშუმი; 14. კვესტურა; 16. ვერდერი; 17. ბაღდათი; 19. იდეა; 20. სოჭი.

თარაზულად: 5. ცერცვაძე; 6. ბრაუნინგი; 9. ბალბოა; 10. დაკარი; 11. ვაშლი; 13. ებანი; 15. ღვინიო; 18. ლეონი; 21. კურლანდია; 22. ეიფორია; 23. პანკისი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

15 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6859

ევრო — 2.9300

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3990

100 რუსული რუბლი — 2.9844

ამინდის პროგნოზი 15 დეკემბრისათვის

კილიან მბაპე: „პსჟ ჯგუფიდან გასვლას იმსახურებდა“

პსჟ-მ სტუმრად დორტმუნდის ბორუსიასთან ფრედ 1:1 ითამაშა და გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფლეიოფში გავიდა, თუმცა მათ პირველი ადგილის დაკავება ვერ შეძლეს. პსჟ-ს ლიდერმა კილიან მბაპემ თქვა, რომ მისი გუნდი ჯგუფიდან გასვლას იმსახურებდა:

– დღეს უნდა მოგვეგო, მაგრამ უბრალოდ არ გაგვიმართლა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჯგუფიდან გავედით. მჯერა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია, მაგრამ გვესმის, რომ ეს რთული იქნება.

ხავი: „ანტვერპენთან წაგება ლოგიკური შედეგი არ იყო“

ბარსელონა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში ხტუმრად დამარცხდა ანტვერპენთან ანგარიშით 2:3, თუმცა ხავის გუნდი ჯგუფში მაინც პირველ ადგილზე გავიდა. თამაშის შემდეგ ხავიმ თქვა, რომ მისი გუნდი წაგებას არ იმსახურებდა და მეტოქეს, უბრალოდ, გაუმართლა:

– ცუდად არ გვითამაშია და, უბრალოდ, არ გაგვიმართლა. მთავარია, რომ მიზანს მივაღწიეთ და ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ. ახლა მომავალ მატჩებზე უნდა ვიფიქროთ.

დიეგო სიმეონე: „ჩემპიონთა ლიგაში სუსტი მეტოქეები არ არიან“

მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ ჩემპიონთა ლიგაში პოტენციურ მეტოქეებზე ისაუბრა და თქვა, რომ სუსტი გუნდები იქ, უბრალოდ, არ არიან და მისთვის სულ ერთია, თუ ვის შეხვდება:

– ამ ეტაპზე სუსტი გუნდები არ არიან, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ვინმესთან შეხვედრა უფრო ადვილი იქნება. ჩვენ მზად ვართ, რომ ნებისმიერი წინააღმდეგობა გადავლახოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

დისნეის პერსონაჟი ქართულად ამღერდა

დისნეიმ ახალი ანიმაცია გამოუშვა, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია. ანიმაციის მთავარი გმირი სიმღერას 29 სხვადასხვა ენაზე ასრულებს: ქართულად, ინგლისურად, გერმანულად, უკრაინულად, ფრანგულად, ნორვეგიულად, ბულგარულად, ბერძნულად, კორეულად, დანიურად, ხორვატიულად, იტალიურად, შვედურად, ჩეხურად, ტაივანურად, პოლონურად, ესპანურად, ლიეტვურად, იაპონურად, ბრაზილიურად...

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც დისნეის ანიმაციაში ქართული სიმღერა გამოიყენეს.

თიკა ჯამბურია: „არავის არ აინტერესებს სხვისი პირადი“

მომღერალი თიკა ჯამბურია დარწმუნებულია, რომ სხვისი პირადი ცხოვრება არავის აინტერესებს და ამ თემის რეკლამირებაში უდიდესი წვლილი ჟურნალისტებს მიუძღვით:

– კარგი იქნებოდა, ჟურნალისტები სხვის სთორებსა და პირად ცხოვრებაში ასე გულით და სულით არ იყოთ ჩამძვრალნი და დაფეთებულები. კარგი იქნებოდა, საინტერესო ინფორმაციას ეძებდეთ და ხალხამდე ის მოგქონდეთ, რაც მართლა ძალიან მნიშვნელოვანი და კარგია.

მერე ხალხს აბრალებთ ჭორიკნები არიანო. რასაც აწყვეთ, იმით ინტერესდება მასა. მიდის ცხოვრება, ხალხი ვითარდება და დროა თქვენი მიდგომებიც განვითარდეს პროფესიონალიზმი. მეტი საინტერესო ინფორმაცია და ნაკლები ჭორ-ბიურო. ადამიანს არავის არ აინტერესებს სხვისი პირადი!

ჯაბა ბოჯგუას დედას მომღერლებმა გული ატკინეს

მომღერალ ჯაბა ბოჯგუას დედას, მანანა გვასალიას, შვილის კოლეგებმა გული ატკინეს. მიზეზი ჯაბას სიმღერების უნებართვოდ შესრულებაა:

– იმედი მაქვს, რომ შემოქმედი ადამიანები სხვისი შემოქმედების პატივისცემას ისწავლიან. დღეს კი აქცენტს მორალურ მხარეზე გავაკეთებ. არის ემოციები და არის ეთიკა. ჯაბას სიმღერებს რაც უფრო მეტი ადამიანი იმღერებს, ამაში გასახარელის მეტი არაფერია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემთვის თხოვნითაც კი არავის მოუმართავს, რათა შესრულებაზე ნებართვა მიეღო. სხვა დანარჩენი, დანარჩენია. ნამდვილად არ ვგეგმავდი ამ თემაზე ხმის ამოღებას, მაგრამ გული მეტკინა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნანი ბრეგვაძის სახელობის აბრეშუმის მაგნოლია ხელმისაწვდომია

ქართული ესტრადის დედოფლის ნანი ბრეგვაძის სახელობის გულსაბნევი – აბრეშუმის მაგნოლია, სახელად „ნანი“, უკვე ხელმისაწვდომია. ულამაზესი თეთრი მაგნოლია „გარდენიაში“ შეიქმნა და ის ეკა ძამუკაშვილმა შეკერა. ნანის სახელობის მაგნოლიის პრეზენტაციაც „გარდენიაში“ შედგა.

ზურა შევარდნაძე:

– საკმარისია ახსენო მხოლოდ მისი სახელი, ნანი. მაგალითია ყველასთვის, სიკეთის, სილამაზის, თავშეკავებულობის, ნიჭიერების, ზომიერების. უზადო გემოვნებით და სარცარი ადამიანური თვისებებით გვათბობს და გვახარებს ყველას მის ირგვლივ.

არ ვიცნობ არც ერთ მისგან ნაწყენ ადამიანს, არც გულნატკენს და არც ისეთს, ვისაც მასზე არ ექნება აღმატებული აზრი. იუმორის გრძნობაც ისეთი აქვს, ვერავინ რომ ვერ შეედრება. ჩვენთან სტუმრად მყოფს, აღტაცებულ კომპლიმენტზე, „როგორ მშვენივრად გამოიყურებით, თქვენ სულ უფრო და უფრო მშვენდებით...“ პასუხად, დაბალ ხმაზე, ისე, რომ ქათინაურის მთქმელს არ გაეგო, წაჩურჩულა „უჰ, ჯერ სადა ხართ...“

გვიყვარხართ ნანი! მიხარია, რომ არსებობს აბრეშუმის მაგნოლია სახელად „ნანი“! დიდი მადლობა ჯადოსნურხელებიან ეკა ძამუკაშვილს!

ნინი ბრეგვაძე ამერიკულ „ვოისზე“: „კმაყოფილი ვარ შედეგებით!“

ქართველი მომღერალი ნინი ბრეგვაძე ამერიკული „ვოისის“ ფინალისტებს შორის ვერ მოხვდა, თუმცა შედეგით მაინც კმაყოფილია:

– მეგობრებო, იმედია დამწუხრებულები არ ხართ, იმიტომ, რომ მე ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ შედეგებით! რა თქმა უნდა, მინდოდა ფინალში ყოფნა, თუმცა ამ შოუს მაყურებლის ხმების მოპოვება არცთუ ისე მარტივია და ეს თავიდანვე მიღებული და გააზრებული მქონდა. ის, რომ ნახევარფინალში მოვხვდი, როგორც თავად პროექტის შემქმნელები ამბობენ საუკეთესო სეზონში, ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. თუმცა მუსიკალური კონკურსები არ განსაზღვრავს სამომავლო კარიერას და ერთი სული მაქვს, გავაგრძელო ჩემი საყვარელი საქმის კეთება!

თქვენ უდიდესი მადლობა ასეთი განსაკუთრებული სითბოსა და სიყვარულისთვის!

ლანა ღოღობერიძის ფილმს ბერლინალეზე აჩვენებენ

კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძის ერთ-ერთ ბოლო ფილმს „დედა-შვილი ან ღამე არ არის არასოდეს ბოლომდე ბნელი“ ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენებენ. ფილმი რეჟისორმა დედას ნუცა ღოღობერიძეს მიუძღვნა, რომელიც პირველი ქალი რეჟისორია საქართველოში.

ლანა ღოღობერიძის დოკუმენტური ფილმი ბერლინალეს მთავარ პროგრამაში, ფორუმის სპეციალურ სექციაში შეირჩა.

გიორგი მღებრიშვილის სახელით თაღლითები სარგებლობენ

მომღერალ გიორგი მღებრიშვილის სახელით თაღლითები სარგებლობენ და ინტერნეტმომხმარებლებს სოლიდური ფულადი პრიზების გათამაშებაში ჩართვის სანაცვლოდ, პირად მონაცემებს სთხოვენ.

გიორგი მღებრიშვილი:

– უკვე ძალიან ბევრი ადამიანი მწერს ამის შესახებ და მინდა ყველას გიპასუხოთ! ვიღაცას აქვს შექმნილი ყალბი გვერდი, უდევს ჩემი ფოტო და ჩემი ძველი ლაივი აქვს ამოჭრილი, რომლითაც რაღაცა გათამაშებით სარგებლობს, ამიტომ ყველას მოგმართავთ, რომ რაიმე პერსონალური თუ პირადი ინფორმაცია არ გაუზიაროთ. მაქსიმალურად ყველამ დაბლოკეთ, რომ ფეისბუქმა წაუშალოს ეს ყალბი გვერდი.

რომ გაფრთხილებთ და ათასჯერ დავწერე ამაზე, რატომ არ კითხულობთ? აი თქვენმა უყურადღებობამ რა შეიძლება გამოიწვიოს – დამიკავშირდა ერთი ქალბატონი, რომელიც გაება ამ ყალბი გათამაშების მახეში და ბანკიდან თანხები გააცალეს... რატომ იჯერებთ ასეთ სისულელეებს. დღევანდელ ცხოვრებაში ვის სჯერა, რომ რაღაცა იდიოტური ციფრების გამოცნობით ასი ათასობით ევროებს იგებენ! ამიტომ გაფრთხილებთ კიდევ ერთხელ, რომ შემდეგი თქვენ არ იყოთ! დაბლოკეთ ეს არამზადა! მე თქვენკენ ვარ და თქვენ კიდე ეშმაკებისკენ... წაიკითხეთ რა, რასაც ვწერ... დგახართ მერე და მომტირით, მე რა გიშველოთ?!

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 2. წითელი ზღვისპირა კურორტი ეგვიპტეში; 3. პოპულარული ამერიკული თოჯინა; 4. ავსტრიელი მწერალი, ნოველისტი; 6. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 9. დაქირავებული გამყიდველი მაღაზიაში; 13. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 14. ქართველ მწერალ ალ.ჩოფიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 15. სასახლის სახელწოდება იტალიაში; 17. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 18. უმაღლესი მწვერვალი საქართველოში; 20. აეროპორტი პარიზში.

თარაზულად: 1. მზის სისტემის პლანეტა; 5. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 7. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 8. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. მაღალხარისხოვანი მინა; 12. ძველი წერილობითი ძეგლების, საბუთების საცავი; 10. შვედური ავტომობილი; 16. მსოფლიო თასის მფლობელი ქართველი მოფარიკავე მამაკაცი; 17. შაქრით, ლიმონისა და ჩაის წვენით შეზავებული ცხელი რომი; 19. ბოროტი, ღვარძლიანი, შურიანი ადამიანი; 21. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 22. პატარა ბაღი; 23. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 24. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა